ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



„ცოლმა უღალატა, ცოლის საყვარელმა კი მოკლა... ორჯერ ჩაარტყა დანა ყელში“

გვ.5



ლანჩხუთში, ეკლესიაში ტრაპეზზე სტიქაროსანი დაჭრეს

ორშაბათი, 6 თებერვალი, 2023 №25 (9061) ფასი: 80 თეთრი

# „დღეს სააკაშვილს, მგონი, არც გაუშვებენ და არც გადაუვადებენ!“







გვ.2



დავით ზურაბიშვილი: „2024 წლისთვის „ოცნებას“ საფრთხობელა ისევ სჭირდება... უფრო ზუსტად, არ გაუშვებს ის ერთი კაცი, თორემ დანარჩენს ვინ ჰკითხავს რამეს“

## „ხალხი ქვეყნიდან გარბის, უნდობლობას ხელისუფლებასაც უცხადებს და ოპოზიციასაც“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ერთ ბოლოკად, ერთ პარტიად გარდაქმნა იქნება კიდევ ერთი შანსის მიცემა „ქართული ოცნებისთვის“



გვ.2



გვ.4

## მამუკა გიორგაძე: „ნაცმოძრაობაში მიდის ბრძოლა იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლების მთავარი პარტნიორი“



გვ.3

არინა თავაქარაშვილი: „ხალხმა უნდა დაანახოს მსოფლიოს, რომ ჩვენი არჩევანი ევროპული მომავალია“

## „საქართველოში რუსეთის შემოსევააა... პრაქტიკულად, ფარული ოკუპაციის ახალი ეტაპი“

## ვახტანგ მაისაია: „მოსკოვი არაპროგნოზირებადი გახდა. მათგან ყველაფერი მოსალოდნელია“



გვ.3

3 ნიკა მელია: „არანაირი პოლიტიკური ვენდეტა არ იქნება“

6 ვოლგოგრადში სტალინის ძეგლი აღმართეს

7 კობიაშვილი პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს

6 შეძლებს თუ არა რუსეთი ამა წლის მარტამდე დონბასის ოკუპაციას?!

# „დღეს სააკაშვილს, მგონი, არც გაუშვებენ და არც გადაუვადებენ!“

## დავით ზურაბიშვილი: „2024 წლისთვის „ოცნებას“ საფრთხობელა ისევ სჭირდება... უფრო ზუსტად, არ გაუშვებს ის ერთი კაცი, თორემ დანარჩენს ვინ ჰკითხავს რამეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.

***– ბატონო დავით, როგორც ირაკლი კობახიძისგან მოვისმინეთ, თურმე ხელისუფლება ზედმიწევნით ასრულებს ევროკავშირის მოთხოვნებს 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით. რას ფიქრობთ თქვენ? რამდენად არის ასე?***

– ევროკავშირის ის შეფასება, რაც გამოქვეყნდა, ძალიან კარგი იყო თავისთავად. კარგი ფაქტი იყო. თუმცა, ნაკლებად ეხებოდა კონკრეტულად იმ 12 პუნქტს, ის ეხებოდა სხვა პარამეტრებს, სადაც, კი ბატონო, ტექნიკური მახასიათებლებით და არამარტო ტექნიკურით, არა გვაქვს ცუდი მდგომარეობა. არც მანამდე არ გვქონდა სხვათა შორის. კანდიდატის სტატუსის მონიჭება კი არ არის დამოკიდებული ამ პარამეტრებზე.

***– აბა რაზეა დამოკიდებული?***

– ეს არ არის მთავარი. შეიძლება ითქვას, მეათეხარისხოვანი ამბავია. თუ ამ პარამეტრებით ვიმსჯელებთ, არავის არ გვეკუთვნის. არც ჩვენ, არც მოლდოვას და არც უკრაინას. საერთოდ, ახლოსაც არა ვართ ევროკავშირის სტანდარტებთან, არავინ. საერთოდ ეს საკითხი, ჩვენ შეიძლება ვიყოთ თუ არა ევროკავშირის წევრები, დადგა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის გამო, ეს არის რუსეთის აგრესია უკრაინაში. რომ არა ეს ომი, დარწმუნებული ვარ, ეს თემა არ დადგებოდა.

დღეს დასავლეთი ძალიან მკაფიო მესიჯს უგზავნის რუსეთს ამ კანდიდატობის და შესაძლო წევრობის საკითხის დასმით ამ სამი ქვეყნის მიმართ, რომ ეს ქვეყნები შენი არ არის. მარტივი ენით რომ ვთქვათ, რუსეთს ეუბნებიან ამას, რომ ეს არ არის შენი გავლენის სფერო, ეს არის ევროპული სივრცის ნაწილი. მე შეგახსენებთ გერმანიის კანცლერის სიტყვებს, რომ ევროკავშირი იქნება ლისაბონიდან თბილისამდე. გერმანია კი არის ის ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაწევრიანებას.

***– საქართველოს ხელისუფლება რომ არ უწყობს ხელს ამ პროცესის დაჩქარებას?***

– ეს ცალკე ამბავია. სწორედ იმიტომ არ მივიღეთ. ამ ყველაფერში მთავარი პირობა იყო ის, რომ უკრაინას უნდა ვუჭერდეთ მხარს მკაფიოდ. აქ ომში ჩათრევაზე კი არაა ლაპარაკი,



არამედ ვის მხარეს დგას ქვეყანა. აი ეს საკითხი არ იქნა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გათვალისწინებული და გააჩინა ეჭვები, რომ ის არა უბრალოდ ნეიტრალურია, არამედ ლამის რუსეთისკენ უფროა, ვიდრე უკრაინისკენ. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ჩვენ სტატუსი ვერ მივიღეთ.

თუმცა დასავლეთის გადაწყვეტილება, რომ საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ არ დარჩეს, ძალიან მტკიცეა და ეს არ შეიცვლება. რაც უნდა ილაპარაკოს „ხალხის ძალამ“ და რა დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს ბიძინას შვეიცარიულ ბანკთან, ეს დამოკიდებულება მაინც არ შეიცვლება. დასავლეთი საქართველოს არ დათმობს. ეს გამორიცხულია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დასავლეთს იმხელა ფული აქვს აქ ჩაყრილი, რომ ამას წყალში არ გადაყრის. ისედაც, ეს იქნება რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების წახალისება. პუტინმა და მისმა გარემოცვამ ძალიან ღიად განაცხადეს, რომ მათ უნდათ რუსეთის იმპერიის აღდგენა. ამას არც მალავენ თვითონ. ცხადია, რუსეთს არ დაუთმობს საქართველოს.

***– რა შანსები გვაქვს? ვადა დეკემბრის ბოლომდეა.***

– შანსი გვაქვს, რა თქმა უნდა. დეკემბრის ბოლოს ჩვენ ან მივიღებთ სტატუსს, ან – არა. შეიძლება არ მივიღოთ, თუ ძალიან გაიგიჟა ხელისუფლებამ და ოპოზიციამ თავი და აქ დახოცეს ერთმანეთი, სააკაშვილის თემაც მნიშვნელოვანია. ასევე, ევროპარლამენტთან თუ ვერ დაალაგა ურთიერთობა ჩვენმა ხელისუფლებამ, შეიძლება კიდევ გადაიწიოს, მაგრამ, საბოლოოდ, უარს მაინც არ გვეტყვიან.

***– 2024 წლამდე ხომ არ მივა პროცესი?***

– შეიძლება მივიდეს. მე ნამდვილად არა მაქვს იმედი, რომ ჩვენი ხელისუფლება კარგად მოიქცევა და ჭკუას მოუხმობს. აქ ხელისუფლების ქმედებებს განსაზღვრავს ერთი კაცის ნებასურვილი. იმ ერთ კაცს კიდევ ძალიან თავისებური წარმოდგენები აქვს მსოფლიო პოლიტიკაზე.

***– სააკაშვილი ახსენეთ და რა ხდება, ვაჭრობს ივანიშვილი და „ოცნების“ ხელისუფლება ამ საკითხით?***

– არა მგონია, რომ სააკაშვილის თემით ხელისუფლება ვაჭრობდეს. მე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის სააკაშვილი არის პრინციპული საკითხი. ის პოლიტიკას ასე უყურებს, მისკენა ხარ თუ სააკაშვილისკენ. ის საქართველოს პოლიტიკას ხედავს ასე, რომ მასა და სააკაშვილს შორის არის გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა. ნებისმიერ ქმედებას საზღვარგარეთიდან, ის განიხილავს მხოლოდ ამ სიბრტყეში. სხვანაირად დანახვა ამ ადამიანს არ შეუძლია.

***– კვირის ბოლოსაც მოვისმინეთ ევროპარლამენტში დებატები სააკაშვილის თემასთან დაკავშირებით. მეტად გააქტიურებულია დასავლეთი, თუმცა, ჩვენი ხელისუფლება არ ითვალისწინებს არაფერს.***

– ევროპა და ამერიკა, ჯერ კიდევ 4-5 თვის წინ, საერთოდ არ ახსენებდნენ მიშას თემას. საერთოდ ხსენებაში არ იყო. ერთადერთი, როცა ჰკითხავდნენ, ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ახლაც, პრინციპში, ეს დამოკიდებულება აქვთ. ეს ბუნებრივიცაა, აბა სხვა ვისი პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს პატიმარი? ახლა, ვაიმე, ჩვენ რა ერი ვართ, ყოფილი პრეზიდენტი გვყავს დაჭერილი, ასეთი გოდება ცოტა სასაცილოდ ჟღერს, რადგან ეს არავის არ უკვირს საზღვარგარეთ. სამხრეთ კორეა საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა და ამჟამად ორი ყოფილი პრეზიდენტი ჰყავთ დაჭერილი. საზღვარგარეთ არავის უკვირს, რომ ყოფილი პრეზიდენტი დაიჭირეს. მთავარ პირობად რჩება, რომ მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობას მიხედონ. ჩვენმა ხელისუფლებამ მისთვის ასე მომგებიანი სიტუაცია არა თუ ვერ გამოიყენა, პირიქით გააკეთა ყველაფერი.

***– რა გააკეთა?***

– მან ყველაფერი გააკეთა და აკეთებს იმისთვის, რომ მთელ მსოფლიოს ეჭვი შეეპაროს, მართლა ხომ არ აწამებენ ამ კაცს და მართლა ხომ არ მიჰყავთ სიკვდილის პირამდე. ეს ძირითადად გამოიხატება ორ რაღაცაში, ერთი, აგდებულ და ცინიკურ დამოკიდებულებაში პატიმრის მიმართ, უბრალოდ, ისე ცუდი ტონია ეს ყველაფერი. ღირსეული ადამიანები ასე არ ლაპარაკობენ დაპატიმრებულზე, თუნდაც მისი მოსისხლე მტერი იყოს, როგორც ესენი ლაპარაკობენ. ასე არ შეიძლება, ეს არანაირ ეთიკაში არ ჯდება. მეორე საკითხი, აბსოლუტურად ფეხებზე ჰკიდიათ კომუნიკაცია დასავლეთთან, რომ ჩააყენონ საქმის კურსში, რეალურად როგორ არის სიტუაცია. ამასობაში მეორე მხარე ძალიან აქტიურია და ცდილობს, ყველას მიაწვდინოს ხმა, რომ მძიმე მდგომარეობაშია სააკაშვილი და ხელისუფლება საშინელებებს აკეთებს მის წინააღმდეგ. მათ აყოლილია უკრაინის ხელისუფლება და ბალტიის ხელისუფლებები. ბოლოს ევროკავშირმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ იქნებ თავად ევროკავშირმა შექმნას სამედიცინო კომისია, რომელიც იმას მაინც დაადგენს, შეიძლება თუ არა სააკაშვილის საქართველოში მკურნალობა.

***– დღესაც გაიმართება სააკაშვილის პროცესი. ანუ ამ სიტუაციაში არ გაქვთ მოლოდინი, რომ გაუშვან ან გადაუვადონ?***

– არა. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არავინ არ გადაუვადებს და არსად არ გაუშვებენ. ეს საერთოდ გამორიცხული ამბავი მგონია.

***– ოპოზიციასაც არაფრის თავი არ აქვს. ახალი თავმჯდომარე ჰყავს ნაცმოძრაობას. შეძლებენ რამეს ხაბეიშვილის პირობებში?***

– ოპოზიციას რის თავი უნდა ჰქონდეს და რას ვთხოვთ საინტერესოა. ნაცმოძრაობაზე თუ არის ლაპარაკი, ნაცმოძრაობის ბირთვი, ყოველთვის ხაბეიშვილი და მისი ხალხი იყო. ყოველთვის რევანშისტული არსი ჰქონდა ამ პარტიას. ნიკა მელია რომ თავმჯდომარე გახდა და უფრო ინტეგრაციული პროცესი დაიწყო, ახალი ლიდერები გამოჩნდნენ, რომლებიც არ ასხივებდნენ ამ აგრესიას და რევანშს. თუმცა ისინი ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ. ამ პარტიის აბსოლუტური უმრავლესობა არის მიშას მომხრე და მას უნდა ისეთივე მმართველობა, როგორიც იყო მიშას დროს. ამიტომ აბსოლუტურად არ გამკვირვებია ის პროცესი, რაც ამ პარტიაში მოხდა. გაიმარჯვა აგრესიულმა და რევანშისტულმა ფრთამ. ხელისუფლებისთვისაც ეს ძალიან ხელსაყრელია. 2024 წლისთვის მას საფრთხობელა ისევ სჭირდება. თუ ეს შიში დაიკარგა ხალხში, მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილი საარჩევნოდ გაუშვან კიდეც, რათა ისევ გაიზარდოს ეს პოლარიზაცია. სანამ ეს საფრთხობელა, სააკაშვილის სახით, ციხიდანაც მუშაობს, მანამდე მას არ გაუშვებენ. უფრო ზუსტად, არ გაუშვებს ის ერთი კაცი, თორემ დანარჩენს ვინ ჰკითხავს რამეს.

# „ხალხი ქვეყნიდან გარბის, უნდობლობას ხელისუფლებასაც უცხადებს და ოპოზიციასაც“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ერთ ბოლოკად, ერთ პარტიად გარდაქმნა იქნება კიდევ ერთი შანსის მიცემა „ქართული ოცნებისთვის“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ლაშა, რამდენად აქვს ოპოზიციას რესურსი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხებზე გაერთიანება შეძლოს?***

– სამწუხაროდ, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი უპრინციპო აღმოჩნდა. ოპოზიციის განზოგადება და ერთ ქვაბში მოხარშვა ხდება. ამ ქვეყანაში ნამდვილად არსებობს პრინციპული ოპოზიცია, რომელიც ცდილობს, როგორმე გარღვევა მოახდინოს, მაგრამ ეს ძალიან რთულია ამ ვითარებაში.

პირველ რიგში, არ შეიძლება ყველა ოპოზიციის ნაციონალურ მოძრაობასთან, მის ქოლგის ქვეშ მოქცევა. ეს დამღუპველი იქნება, რადგან სწორედ ამით სულდგმულობს და იხანგრძლივებს „ქართული ოცნება“ არსებობას.

ერთ ბოლოკად, ერთ პარტიად გარდაქმნა იქნება კიდევ ერთი შანსის მიცემა „ქართული ოცნებისთვის“. ეს ძირშივე არასწორი იდეაა. ეს სერიოზული იარაღია „ოცნების“ ხელში.

ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს კონკრეტულ საკითხზე, იმ ფონზე, როდესაც ყველა პარტია შეინარჩუნებს ინდივიდუალურობას, მაგრამ ისინი იბრძოლებენ საერთო მიზნისთვის.

***– რის ირგვლივ უნდა მოხდეს ერთობა?***

– ერთადერთი იდეის ირგვლივ – საარჩევნო გარემო, საარჩევნო პროცესი უნდა იყოს ყველას გამაერთიანებელი. თუ ისევ 5%-იანი ბარიერი იქნება, მაშინ ჩათვალეთ, ისევ ორპარტიულ პარლამენტს მივიღებთ, რეალურად კი, რა თქმა უნდა, ერთპარტიულ პარლამენტს, სადაც ყველაფერს ისევ „ქართული ოცნება“ გადაწყვეტს. სანამ საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო ბარიერის საკითხი არ გადაწყდება, არაფერი გვეშველება.

***– 5-პროცენტიან ბარიერზე ალბათ არც „ოცნება“ იტყვის უარს და არც ნაციონალური მოძრაობა.***

– უნდა ვაიძულოთ. „ოცნება“ რომ არ დათმობს ბარიერს, ამიტომ გვჭირდება ქუჩაში გასვლა და ქუჩიდან ზეწოლა, რომ მხოლოდ მათი არ არის ეს ქვეყანა. კი უნდათ ძალიან, რომ მთლიანად ჯიბეში ჩაიდონ და ჩაიდეს კიდეც, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

ამ ვითარებაში ამ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა მრავალპარტიულ პარლამენტზე გადის, რომელიც მხოლოდ უბარიერო ან ერთპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის შედეგად დაკომპლექტდება.

***– კოალიციურ მმართველობაზე აკეთებთ აქცენტს?***

– კოალიციური მმართველობა, კოალიციური მთავრობა, რომელიც არჩევნებიდან მიღებული შედეგების მიხედვით შეიქმნება და არა წინასწარ, ხელოვნურად შექმნილი კოალიციით, რომელიც მხოლოდ ერთადერთი – არჩევნების მოგების მიზნით დგება ხოლმე. ასეთი კოალიცია არაერთი იყო ამ ქვეყანაში. შეიძლება ითქვას, ასეთი კოალიციების ტრადიციაც კი არსებობს. გავიხსენოთ თუნდაც 2003 წელს კოალიციური მთავრობა, 2012 წელს, რომელთა მიზანიც მხოლოდ არჩევნების მოგება იყო. ახლა უფრო დიდი უნდა იყოს მიზანი. ასევე, ხომ კარგად გვახსოვს, შემდეგ რამდენი ხანი ძლებენ ასეთი კოალიციები და რა სკანდალებით იშლებიან. ესეც წარსულს უნდა ჩაბარდეს.

როდესაც ერთი პარტია გადაწყვეტს, რომ მან უნდა აკონტროლოს ყველა და ყველაფერი, მაშინ ეს არის გზა არსაითკენ, გზა უკან, საბჭოთა კავშირისკენ, სადაც რეალურად დღეს ვიმყოფებით. ამიტომ გარბიან ადამიანები ამ ქვეყნიდან.

***– ენდიაის ბოლო კვლევით, რომელიც ორი დღის წინ გახდა ცნობილი, გამოკითხულთა ყოველი მეხუთე ქვეყნიდან მიდის.***

– ეს არის ეროვნული ტრაგედია, რაც „ქართულ ოცნებას“ საერთოდ არ ადარდებს.



ალბათ უხარიათ კიდეც. შეიძლება ითქვას, ეს მათი პოლიტიკაა. იაფი ბილეთების დაპირებაც, ალბათ, ხალხს კარგად ახსოვს.

ადამიანები ამ ქვეყანაში პერსპექტივას ვერ ხედავენ. არც ოპოზიციაში ხედავენ გამოსავალს. ეს უიმედო განწყობები მხოლოდ ერთადერთ გზას – ამ ქვეყნიდან გაქცევის გზას უტოვებთ. ამიტომ, თუ ოპოზიცია დროზე არ მოეგება გონს და არ გავა ქუჩაში ერთადერთი – სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით, არაფერი არ გამოვა. სამართლიანი არჩევნები სამართლიან სასამართლოს მოიტანს. სამართლიანი სასამართლო კი სამართლიანობის განცდას მოიტანს, რაც არის ნორმალური, სამართლებრივი, ცივილიზებული სახელმწიფოს ფუნდამენტი. ასეთი სახელმწიფო კი ჩვენ, თითოეულმა ამ ქვეყნის მოქალაქემ უნდა ავაშენოთ. სხვა არავინ არ აგვიშენებს. გაქცევაში არ არის გამოსავალი. გამოსავალი არის აქ, ამ ქვეყნისთვის, ჩვენი ხვალინდელი და დღევანდელი დღისთვის ბრძოლაში. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში რუსეთის შემოსევაა... პრაქტიკულად, ფარული ოკუპაციის ახალი ეტაპი“

## არინა თავაქარაშვილი: „ხალხმა უნდა დაანახოს მსოფლიოს, რომ ჩვენი არჩევანი ევროპული მომავალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი არინა თავაქარაშვილი პასუხობს.

***– ქალბატონო არინა, ბოლო პერიოდია სულ უფრო ხშირად ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ კურსი რადიკალურად შეცვალა და მივდივართ რუსეთისკენო. როგორია თქვენი შეფასებები შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით? რაშია გამოსავალი?***

– საერთოდ რეგიონში არის უმძიმესი მდგომარეობა. უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს პრაქტიკულად მესამე მსოფლიო ომის ტოლფასი ომი. ფაქტია, რომ ამ ომში მთელი მსოფლიოა ჩაბმული. ერთი სახელმწიფო, რომელიც ტოტალიტარული, დიქტატორულია და მთლიანად პუტინზეა მორგებული, ცდილობს აღადგინოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისი ჰეგემონია. ამას უკრაინამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. მანამდე ჩვენთან იყო 2008 წლის ომი. წაიღეს დიდი ტერიტორია. ახლა კი დიდი ხანია მიმდინარეობს ფარული, მცოცავი ოკუპაცია და ანექსია. ამას დაერთო ხელისუფლების მიმართულება რუსეთისკენ და არა დასავლეთისკენ.

***– ხელისუფლების პოლიტიკა ალბათ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ პროცესს.***

– ხელისუფლების კურსი არის გაცხადებული, ვითომ დასავლეთისკენ, მაგრამ ამ ხელისუფლების ყველა ნაბიჯი გადაიდგა რუსეთის სასარგებლოდ. პრაქტიკულად, დაიწყეს ფარული ოკუპაციისა და ანექსიის ახალი ეტაპი. რუსეთმა შეცვალა საქართველოს მიმართ პოლიტიკა და დაპყრობის სხვა სცენარი მიმდინარეობს.

***– ალბათ ამდენი რუსის შემოსვლას გულისხმობთ....***

– რასაკვირველია. ამ ომის ფონზე უამრავი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა. პრაქტიკულად ეს შემოსევაა. აქ შემოსული რუსები ყიდულობენ კერძო საკუთრებას, გახსნეს ფირმები, შემდეგ დაარეგისტრირებენ თავიანთ მოქალაქეობას წინა საარჩევნოდ. ყველა პროცესი სწორედ აქეთკენ მიდის. ამ ფონზე, ჩვენმა ხელისუფლებამ არც ერთი ნაბიჯი არ გადადგა 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესასრულებლად.

***– ვკარგავთ კანდიდატის სტატუსის შანს?***

– არათუ სტატუსის შანს ვკარგავთ, პრაქტიკულად ჩვენ დავრჩებით ბნელეთში, რუსეთს მიბმული! ეს სამარცხვინოა! ამ 12 რეკომენდაციიდან, ჩვენ ვერც ერთი ვერ განვახორციელეთ.



***– ჩვენ მოვისმინეთ კობახიძის შეფასებები, რომ მოლდოვას ყველა კრიტერიუმით ვუსწრებთ და ძალიან კარგი შედეგი გვაქვსო. ამაზე რას იტყვით?***

– კობახიძის შეფასებები ერთ დიდ ჩარჩოში რჩება, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. ანუ ანტისახელმწიფოებრივი ქმედება დასავლეთის წინააღმდეგ. კი, ის სახელმწიფო პირია, მაგრამ მისი ქმედება და განცხადებები არც ერთი არ მიდის იმ ისტორიულ გზაზე, რასაც დასავლეთი და ევროპა ჰქვია. ეს არის დამღუპველი ნაბიჯები საქართველოს მომავლისათვის. ასევე, ჩვენ საქართველოში გვყავს პოლიტპატიმრები და ეს რეალობაა. მედიამენეჯერი დაკავებულია იმისთვის, რასაც ყოველდღე ახორციელებენ ეს ჩინოვნიკები. სწორედ სამსახურის მანქანებით დაყავთ თავიანთი შვილები და ცოლები. ეს არის მცდელობა, რომ ლიდერი განარიდონ სიტუაციას და არ ჰქონდეს საჯარო სივრცეზე ფართო წვდომა.

სააკაშვილი შეიძლება ზოგს მოსწონდეს, ზოგს არა, მაგრამ როცა საქმე დამსახურებებზე მიდგება, მისი ღვაწლი სახელმწიფოს მშენებლობაში, სხვას ყველაფერს გადაწონის. დღეს ამ ადამიანს ამისთვის აწამებენ.

დღეს მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია! თან უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი. ჩვენი გზა და დამოკიდებულება, მთლიანად დაშორდა დემოკრატიას და შორდება ევროპას. რა შეგვრჩება ხელში? რუსეთის სივრცეში ჩარჩენა?! ლავროვმა უნდა გვიკარნახოს, როგორ უნდა მოვიქცეთ?!

***– ამ სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?***

– რამდენიმე გზა ჯერ კიდევ არსებობს. ერთი მთავარი გამოსავალი ეს არის საზოგადოებრივი პროტესტი. პოლიტიკური პარტიები დაშორდნენ ადამიანებს და ხალხი მათ ასე მალე ვერ მიიღებს. საზოგადოების ერთობა უნდა შედგეს, ხალხმა უნდა გააპროტესტოს ეს ყველაფერი. აუცილებელია ან ეროვნული კონვენტი, ან ეროვნული კონგრესი. თავის დროზე ეს ფრანგებმა გააკეთეს და შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა. საქართველოში ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. ხალხმა უნდა გააკეთოს ეს ყველაფერი და დაანახოს მსოფლიოს, რომ მათი არჩევანი ევროპული მომავალია. ხელისუფლება დაშორდა ევროპულ გზას. ახლა საზოგადოების ჯერია, მან უნდა თქვას, რომ ის არასოდეს დაშორდება ამ ღირებულებას!

# ნიკა მელია: „არანაირი პოლიტიკური ვენდეტა არ იქნება“



ნიკა მელია ნაციონალური მოძრაობის ახალ თავმჯდომარეს, ლევან ხაბეიშვილს წარმატებებს უსურვებს და აცხადებს, რომ პარტიულ თანამდებობაზე ყოფნას არსებული მენეჯმენტის პირობებში არ აპირებს.

– ვფიქრობ, ბრძოლას იქ, სადაც ჯერ კიდევ ვხედავ ბრძოლის აზრს. ძალიან ბევრი თანამოაზრე მყავს. არაფერს არ ვავალებდი ხაბეიშვილს. არ ვარ პარტიულ თანამდებობაზე და არც ვაპირებ ამ მენეჯმენტის პირობებში ყოფნას. მე და ლევან ხაბეიშვილს არჩევნების შემდეგ არ გვისაუბრია.

ვუსურვებ ლევან ხაბეიშვილს წარმატებას, მიუხედავად დიდი პრობლემებისა, რომელსაც მე ვხედავ და რომელსაც ის ახლა ეჯახება. ხაბეიშვილს ვუსურვებ წინააღმდეგობა გაუწიოს მავნე გავლენებს, რაც მის თავს უამრავი იქნება. არანაირი პოლიტიკური ვენდეტა არ იქნება, – აცხადებს ნიკა მელია.

# ვინ გახდნენ ენმ-ის პოლიტსაბჭოს წევრები



ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ახალი პოლიტიკური საბჭო ჰყავს. ცნობილია პოლიტსაბჭოს წევრების ვინაობა.

ესენი არიან: ლევან ხაბეიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, ხატია დეკანოიძე, გიორგი ბოტკოველი, დავით კირკიტაძე, დავით ხაჯიშვილი, დევი ჭანკოტაძე, ანი წითლიძე, სულხან სიბაშვილი, თინათინ ბოკუჩავა, კობა ნაყოფია, აკაკი მინაშვილი, აბდულა ისმაილოვი, რომან გოცირიძე, გიორგი გოდაბრელიძე, თეიმურაზ ჯანაშია, ეკატერინე ხერხეულიძე, ელგუჯა ბაგრატიონი, ლევან ანთაძე, გია აბულაძე, მამული სურმანიძე, გიორგი კირთაძე, გიორგი ბარამიძე, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი ჩალაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ირაკლი ნადირაძე, ლილე ლიპარტელიანი, ბადრი ბასიშვილი, დიმიტრი შაშკინი, ირაკლი ფავლენიშვილი, ლაშა ფარულავა, ირაკლი ქავთარაძე, გია ხარჩილავა.

გულიკო ბალაძე

# „მოსკოვი არაპროგნოზირებადი გახდა. მათგან ყველაფერი მოსალოდნელია“

## ვახტანგ მაისაია: „რუსებმა საეჭვო ჩანაწერები შემთხვევით არ შემოაგდეს, რადგან აქ რუსეთისთვის არასასიამოვნო პროექტის განხორციელება იგეგმება“

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, იუთუბზე, ე.წ. „კიბერკმარას“ არხზე, საქართველოსა და რუსეთის სპეციალური წარმომადგენლების აბაშიძე-კარასინის საუბრის ჩანაწერი გავრცელდა, რომლის მიხედვით, აბაშიძე და კარასინი ახალი მაგისტრალის მშენებლობის შესახებ საუბრობენ. ზურაბ აბაშიძე კარასინს განუმარტავს, რომ ზემო ლარსის მიმართულებით პარალელური მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, აბაშიძეს მოსთხოვეს განმარტება, ლარსის მიმართულებით რა მშენებლობა მიმდინარეობს?***

– ვერ გეტყვით, სიმართლეს შეესაბამება თუ არა. ბატონ ზურაბ აბაშიძეს უღრმეს პატივს ვცემ. ის ძლიერი პროფესიონალია, ძლიერი დიპლომატია. თან ბატონი ზურაბის პასუხები არ ჩანს. ჩანაწერი ცალმხრივადაა გაკეთებული. ამიტომ სერიოზული ტიპის დოკუმენტად ვერ განვიხილავ.

ამიტომ ბატონ ზურაბსაც უნდა ვკითხოთ, ჩანაწერი ავთენტურია თუ არა. ბატონი ზურაბი ყოველთვის ქართული სახელმწიფოს სადარაჯოზე იყო. ის ისეთი ოჯახისა და მამის შვილია, ყოველთვის ქართული დიპლომატიის სათავეებთან იდგა.

ზურაბ აბაშიძე ნატოში საქართველოს პირველ ელჩი იყო და ევროატლანტიკური კურსისკენ გზა პირველმა გაკვალა. მისნაირი მაღალი დონის პროფესიონალები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია.

ამ ფაქტორიდან გამომდინარე, არ მინდა ამ ჩანაწერზე ვისაუბრო. მით უფრო, რომ კარასინის ხმა ისმის, ხოლო ბატონი ზურაბის ხმა კი, საერთოდ, არ ისმის. შესაბამისად, არ ვიცი, საუბარი რაზეა. ამიტომ ჩანაწერს თავი დავანებოთ.

ჩანაწერები ბევრია. საქართველოს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს. ბუნებრივია, ნებისმიერი კონსპირაცია საკმაოდ იოლად შეიძლება შექმნან. ჩანაწერი რატომ და ვინ შემოაგდო, ისიც დასადგენია.

ლარსისკენ კობი-გუდაურის მონაკვეთი რომ



შენდება, ახალი არ არის, დადასტურებული ფაქტია. რბილი ძალის წარმომადგენელმა „სპუტნიკმა“ დოკუმენტური ვიდეო აჩვენა, სადაც კარგად ჩანს, რომ ქვეშეთი-კობის მონაკვეთი შესულია რუსეთის გეოეკონომიკური დიდი პროექტის, „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მნიშვნელოვან მონაკვეთად, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან იწყება და ირანის პორტ ბენდერ-აბასში მთავრდება.

რუსეთის „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ გეოეკონომიკური პროექტის მთავარი იდეაა, რუსეთს გეოეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭოს, რაც, ფაქტობრივად, ბალტიის ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე რუსეთის კონტროლირებადი, გეოეკონომიკური, სატრანსპორტო კორიდორის გაჭრას ნიშნავს.

***– რუსეთის ამ გეგმის განხორციელება მიღწევადია?***

– რუსეთი ცდილობს, ეს გეგმა განახორციელოს, რასაც ყველანაირად შეეცდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო დღეს პირდაპირ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრშია, ანუ ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების ეპიცენტრში.

ამერიკელებმა სამხრეთ კავკასიაში თავისი ახალი წარმომადგენელი დანიშნეს, რომ ურთიერთობების ინტენსიფიკაცია მოახდინონ. ჩემი აზრით, რუსებმა საეჭვო ჩანაწერები შემთხვევით არ შემოაგდეს, რადგან აქ რუსეთისთვის არასასიამოვნო პროექტის განხორციელება იგეგმება. კერძოდ, შუა სატრანზიტო კორიდორის გაჭრა, რომელიც 5 ქვეყანას მოიცავს.

ეს არის აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკური პროექტი, რომელსაც ევროკავშირი ლობირებს. აღნიშნული პროექტი თავის მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს – კომუნიკაციურ, ენერგეტიკულ და სატრანზიტო პროექტების ერთობლიობას მოიცავს. მათ შორისაა, შავი ზღვის ფსკერზე ელექტროკაბელის გაყვანა, ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს ახალი ენერგეტიკული დერეფნის გაჭრა.

***– რუმინეთი-უნგრეთიც მონაწილეობენ.***

– დიახ, ალიევი ამ პროექტს სერიოზულად ლობირებს. თურქეთი, ევროკავშირი, შეიძლება, ამერიკაც იყოს დაინტერესებული ამ აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტით, რომელიც რუსეთის ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოეკონომიკურ პროექტს ეწინააღმდეგება.

***– ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის პროექტებია.***

– დიახ, ორი გეოეკონომიკური პროექტის დაპირისპირებაა. შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო უკვე ამერიკის, ევროკავშირისა და რუსეთის გეოეკონომიკური ომის ერთ-ერთ მთავარი ეპიცენტრია.

თუ ჩინეთმა შუა კორიდორი, თავისი „ერთი სარტყელი – ერთი გზის გეოპოლიტიკური პროექტის“ მნიშვნელოვან გამტარად აირჩია და რუსულ-ირანულ ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო კორიდორების ამოქმედებაზე უარი თქვა, მაშინ ეს რუსეთის გეოეკონომიკური პოტენციალისა და სტატუსის დაკნინება იქნება.

ჩვენ უკვე ვართ გეოეკონომიკურ ომში, რომელიც არანაკლებია, ვიდრე გეოპოლიტიკური ომი, რომელიც უკრაინის ომის გათვალისწინებით, ამერიკასა და რუსეთს, ნატოსა და რუსეთს შორის არის გაჩაღებული.

ჩვენ გეოეკონომიკური ომის ეპიცენტრში აღმოვჩნდით. ამას ემსახურება ლავროვის ინტერვიუ და მისი ლობირება საქართველო-რუსეთს შორის უვიზო მიმოსვლაზე.

***– სავიზო რეჟიმის მოხსნისა და ფრენების აღდგენის წინადადებები შემოაგდეს. ასევე, სოჭის ადმინისტრაციას ათქმევინეს, რომ სასურველია ბათუმი-სოჭისა და სოხუმი-სოჭის საზღვაო გზის აღდგენა. რუსეთის ეს განცხადებები საქართველოსთვის რა საფრთხეებს ქმნის?***

– რუსეთი შეეცდება, საქართველო არა აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკურ სივრცეში იყოს, არამედ თავისი გეოეკონომიკური პროექტის, ჩრდილოეთ-სამხრეთის ფორმატში მოაქციოს. ამ შემთხვევაში, ალბათ, რუსეთი შეეცდება საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი აწარმოოს, არ გამოვრიცხავ სამხედრო კომპონენტების გამოყენებასაც.

***– რა შემთხვევაში შეიძლება სამხედრო კომპონენტები გამოიყენოს?***

– დავუშვათ, თუ საქართველოს ხელისუფლებამ აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკური პროექტში პირდაპირი ჩართვა აირჩია. ამან შეიძლება რუსეთის გაღიზიანება გამოიწვიოს.

***– საქართველოს მთავრობამ ხელი უკვე მოაწერა აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკურ პროექტს, ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტი აირჩია.***

– კი, მაგრამ რამდენ ხელშეკრულებაზე მოგვიწერია ხელი, მაგრამ საბოლოოდ არ შესრულებულა. დსთ-შიც არ შევდიოდით, ედუარდ შევარდნაძე 1992 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კურსს ინარჩუნებდა, მაგრამ 1993 წელს მას პოზიციების დათმობა მოუწია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2023, 6 თებერვალი, №25

# „ნაცმოძრაობაში მიდის ბრძოლა იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლების მთავარი პარტნიორი“

## მამუკა გიორგაძე: „30 წელიწადია რეფორმებს ვერ მოვაბით თავი და ამიტომაც ვართ ამ დღეში“

მარიამ მჭედლიშვილი

რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში? როგორ შეიძლება შეფასდეს ნაციონალური მოძრაობის აქტიურობა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

***— ჯერ ზოგადად დავახასიათოთ საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არსებული სიტუაცია. რაიმე ცვლილებები შეინიშნება?***

— არანაირი ცვლილებები არ არსებობს. საქართველოს საშინაო პოლიტიკა ყოველთვის მიმართული იყო იქითკენ, რომ ქვეყანაში ჩაეკლა ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება და პოლიტიკისგან ჩამოეცილებინა პოლიტიკურად აქტიური პატიოსანი ადამიანები. მოქმედი აქტორების დევიზი შინაარსობრივად ასეთია: „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი“, „ნუ იქნება ოღონდ ომი“, „მთავარია, გავაგრძელოთ პოლიტიკური თამაში, კარგად ვჭამოთ, კარგად ჩავიცვათ და დავიხუროთ“. პოლიტიკური თამაშები 30 წელიწადია გრძელდება. პოლიტიკური თამაშები გახდა ვიწრო წრის საქმე, ნამდვილი პოლიტიკა ჩაკვდა, საზოგადოება კი ნიჰილიზმში ჩავარდა.

***— წინა წლებში სხვა ვითარება იყო. ახლა ციხეშია ყოფილი პრეზიდენტი, რომლის ჯანმრთელობა საფრთხეშია. ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარე და მისი გუნდი საპროტესტო მოქმედებებს აანონსებენ.***

— სიტუაცია მაინც არ იცვლება. ესეც არის პოლიტიკური ბრძოლის ილუზიის შექმნის მცდელობა. პოლიტიკური თამაშები გრძელდება. წინა 10 წელიწადს თუ გავიხსენებთ, მუდმივად ყოფილა რაღაც ჯერ არნახულის დაანონსება. სინამდვილეში, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ახლაც იგივეა. გრძელდება პოლიტიკისგან გამოცდილი, კომპეტენტური და გულანთებული პიროვნებების მოშორების პროცესი. სამწუხაროდ, საზოგადოების სულსწრაფ ნაწილს ამ პირობებში სწრაფი ქმედებები უფრო აინტერესებს, ვიდრე გრძელვადიანი (თუნდაც, 2-წლიანი) პროგრამები და პროექტები. არადა, ქვეყნის განვითარებას ასეთი პროგრამები და პროექტები სჭირდება.



### ევროკომისია და ევროკავშირის სტრუქტურები ქვეყნებს ბავშვებივით ეპყრობიან

***— სააკაშვილის პრობლემაზე საუბარი განვაგრძოთ. იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ მის თვითდაზიანებაზე სახელმწიფო პასუხს არ აგებს. ბევრი აღნიშნავს, რომ ახლობლები პატიმარს დაბალკალორაჟულ საკვებს აწვდიან, რაც მის გახდომას იწვევს. ოპოზიცია ლაპარაკობს იმაზე, რომ სააკაშვილს ციხეში კლავენ..***

— ამ ადამიანს ჯანმრთელობას ვუსურვებ. სააკაშვილის ჯანმრთელობის დეტალებზე ლაპარაკი ხელისუფლებასაც და ნაცმოძრაობასაც აწყობს. ამითაც იქმნება ერთმანეთთან ბრძოლის, პოლიტიკური პროცესის ილუზია. თუ ამაზე არ ილაპარაკებენ, უნდა გაამახვილონ ყურადღება ქვეყნის განვითარებაზე. მაგალითად, რეფორმებზე, თვითმმართველობაზე, კორუფციაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ პრობლემებზე, საგარეო პოლიტიკაზე და ა. შ. ამ სფეროებში პასუხების გასაცემად ხელისუფლებას არგუმენტები არ ეყოფა. სააკაშვილის თემაც სჭირდებათ იმისთვის, რომ ჩაიკლას პოლიტიკური ცხოვრება. თუ ადამიანი დიქტატორია, მის მიმართ კაცობრიობა სხვა მეთოდებს იყენებს. აქ ხელისუფლებაც კარგად გრძნობს თავს და ნაციონალური მოძრაობაც.

***— ნაციონალურ მოძრაობაში რომ დიდი ამბები ხდება?***

— არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ნაცმოძრაობაში მიმდინარეობს ბრძოლა იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლების მთავარი პარტნიორი, ვის დაელაპარაკება ხელისუფლება, ვის გაურიგდება. მკითხველთან ბოდიში, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილი და მისი მდგომარეობა ფეხებზე ჰკიდია. მისი სახელის ხშირად მოხსენიება არაფერს ნიშნავს. საბჭოთა კავშირის დროსაც ლენინის ციტატებით ლაპარაკობდნენ. არადა, ლენინი ბოლშევიკებსაც (სტალინს, ბუხარინს და ა.შ.) აღარ სჭირდებოდათ. ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილი არ აინტერესებს. ამ დროს ელექტორატი სააკაშვილს ჰყავს. მიმდინარეობს ბრძოლა სააკაშვილის მემკვიდრეობისთვის. ამ ხალხმა დაინახა, რომ სააკაშვილს ამ მომენტში პირადული პრობლემები აქვს და მის მემკვიდრეობას შეესია. ასე იქცევიან ტურები, როცა მათი ბელადი დაუძლურდება.

***— ევროკომისიის ბოლო ანგარიშში საქართველო პოზიტიურად იყო მოხსენიებული. იმედი უნდა გვქონდეს, რომ წლის ბოლოს ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებს?***

— ევროკომისია და, საერთოდ, ევროკავშირის სტრუქტურები ქვეყნებს ბავშვებივით ეპყრობიან. ფსიქოლოგების რჩევაა, რომ უფროსებმა ბავშვებს თავზე ხელი ხშირად გადაუსვან და შეაქონ, რა ნიჭიერი ხარო. ანგარიშებში პირველი ფრაზები, როგორც წესი, შექებაა. ამას შეიძლება მოჰყვეს შენიშვნა. ქებაც ავანსად არის გაცემული. ვინც ფრაზებით ისპეკულანტებს, ამას ძმრად ამოადენენ. პოლიტიკოსები იყენებენ იმ ფრაზებს, რომლებიც თვითონ აინტერესებთ. ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, საბჭოთა სტუდენტივით არ უნდა მოვიქცეთ.

***— ანუ, მარტო „ნიშნის მიღება“ არ უნდა მოვინდომოთ?***

— ცხადია. საბჭოთა სტუდენტისთვის მთავარი იყო არა ცოდნა, არამედ, ნიშანი. 12 რეკომენდაცია, რომელიც ევროკავშირმა შემოგვთავაზა, პირველ რიგში, გვჭირდება ჩვენ, ეს საჭიროა ქვეყნის განვითარებისთვის და არა იმისთვის, რომ ვინმეს წინაშე გამოცდა ჩავაბაროთ. 30 წელიწადია რეფორმებს ვერ მოვაბით თავი და ამიტომაც ვართ ამ დღეში. პოლიტიკოსები სხვადასხვა დოკუმენტს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. მათი საბოლოო მიზანია, შეაძულონ ხალხს საერთაშორისო და ევროპული ინსტიტუტები და რეფორმები. არ მინდა ჩვენზე ხელი ჩაიქნიონ და იზოლაციაში აღმოვჩნდეთ.

***— საქართველოსთვის საყურადღებო რამ თქვა ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ბორის ჯონსონმა. მისი თქმით, როცა უკრაინა გაიმარჯვებს, ჩვენ (დასავლეთი) მოვხსნით რუსეთის შემდგომი აგრესიის საფრთხეს საქართველოში, მოლდოვასა და ბალტიის ქვეყნებში, ასევე მთელ აღმოსავლეთ ევროპაშიო. თქვენ როგორ ხსნით ამ წინადადებას?***

— დასავლეთი თავის დაპირებებს და თავის მისიებს ასრულებს. ის ეხმარება ერებს სახელმწიფოების მშენებლობაში. აქ პრობლემა ჩვენშია. ჩვენც უნდა ვიყოთ მზად ამისათვის. ჩვენც რაღაც უნდა გავაკეთოთ. მოვიყვან უკრაინის მაგალითს. სანამ ომი დაიწყებოდა, მანამდე დასავლეთის წარმომადგენლები უკრაინას ამის შესახებ აფრთხილებდნენ. დეტალურად აცნობებდნენ, რომელ ადგილებს დაარტყამდა რუსეთი. ერთ-ერთი ხერსონის მიმართულება იყო. გამოვიდა ისე, რომ როცა მტერი ხერსონისკენ დაიძრა, იქ ტერიტორია დანაღმულიც არ იყო. ამას მოჰყვა დიდი მსხვერპლი და ტკივილი. როცა დასავლეთი გაფრთხილებს, უნდა გაითვალისწინო. ჩვენ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთთან თამაშობები კარგად არ დამთავრდება.

***— კერძოდ?***

— რეფორმების გაუტარებლობა, ნამდვილი პოლიტიკის ჩაკვლა, პოლიტიკური ბრძოლის იმიტაცია, ეს ყველაფერი რუსული ინტერესია. ე. წ. პოლიტიკური ელიტა იმაზეა ორიენტირებული, როგორ წაღლიტოს სახელმწიფოს ფული და ქონება. კორუფცია უკრაინაშიც დიდი პრობლემაა. ომის დროს კორუფციის მასშტაბი გაიზარდა კიდეც. ამიტომ იქ შექმნილია სპეციალური აუდიტი, რომელიც აკონტროლებს ფულის ხარჯვას. ბოლოს და ბოლოს, უნდა შევიგნოთ, რომ რეფორმები აუცილებელია, მოიგებს რუსეთი ომს თუ წააგებს, დაიმუქრება თუ არა. ამის მიუხედავად, უნდა გავაძლიეროთ თავდაცვის პოტენციალი. ახლა ისეთი პოლიტიკაა, ისეთი განცხადებები კეთდება, რომ საქართველო არავისგან დაცვას არ აპირებს. ეს პოლიტიკა დაახლოებით ასეთია — მოდით, დაგვიპყარითო. ჩვენი ტერიტორიები რომ რუსეთს აქვს ოკუპირებული, საერთოდ აღარ ახსენებენ. არც იმაზე იღებენ ხმას, რომ მუდმივად ხდება საოკუპაციო ხაზის გადმოწევა. საოკუპაციო ზოლის გადმოწევისას ყოველთვის ამბობენ, რომ გაააქტიურეს ევროკავშირის ცხელი ხაზი. ევროკავშირი თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ რას აკეთებს ამ დროს თვითონ საქართველო?!

## ენმ-ის თავმჯდომარე 4-ის ნაცვლად, 2 წლის ვადით აირჩევა




ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, 4-ის ნაცვლად, 2 წლის ვადით აირჩევა, შემდეგი არჩევნები კი 2025 წელს ჩატარდება — ამის შესახებ პარტიის ახლად არჩეულმა პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, ლევან ბეჟაშვილმა ისაუბრა.

— მინდა, პარტიის წესდებაში შეტანილი ცვლილებები გაგაცნოთ. პირველი ცვლილება უკავშირდება, რომ პარტიის თავმჯდომარის არჩევითობა 2 წელიწადში ერთხელ იყოს განსაზღვრული. ანუ, დღეს მოქმედი პოლიტსაბჭოს უფლებამოსილების 4-წლიანი ვადა შემცირდება და პარტიის თავმჯდომარე 2 წლით აირჩევა. 2025 წელს ახალი არჩევნები იქნება. მეორე ცვლილება უკავშირდება რეგიონული საბჭოების შემოღებას. საბჭოები ყველა რეგიონში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით შეიქმნება... ასევე, განსაზღვრული გვაქვს, რომ პოლიტსაბჭოს უფლებამოსილება 4 წლის ნაცვლად, 2 წლის ვადით იქნება დადგენილი. შესაბამისად, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის არჩევნებიც 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რომ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების არჩევითობა სავალდებულო წესით იქნება, არა უმეტეს 2 წლის ვადით, — თქვა ბეჟაშვილმა პარტიის ყრილობაზე.

## გამოიყენებს თუ არა უკრაინა უცხოელი პარტნიორების მიერ გადაცემულ იარაღს რუსეთის ტერიტორიებზე დასარტყმელად



უკრაინის თავდაცვის მინისტრის, ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, ქვეყანა უცხოელი პარტნიორების მიერ გადაცემულ იარაღს რუსეთის ტერიტორიებზე დასარტყმელად არ გამოიყენებს.

ამის შესახებ მან პრესკონფერენციაზე ისაუბრა და თქვა, რომ ქვეყანა „ამ თვეში რუსეთის შესაძლო მსხვილ შეტევას ელის, მაგრამ კიევს მოსკოვის ძალების შესაჩერებლად რესურსი აქვს“.

— ჩვენ ყოველთვის ოფიციალურად ვამბობთ, რომ არ გამოვიყენებთ უცხოელი პარტნიორების მიერ მოწოდებულ იარაღს რუსეთის ტერიტორიაზე სროლისთვის, — განაცხადა რეზნიკოვმა.

# „მოსკოვი არაპროგნოზირებადი გახდა. მათგან ყველაფერი მოსალოდნელია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— დიახ, სოხუმის დაცემის შემდეგ, შევარდნაძემ საქართველო დსთ-ში შეიყვანა.***

— აქედან გამომდინარე, აქ ხელმოწერაზე არ არის საუბარი, არამედ მთავარია, გავერთიანდეთ და პოლიტიკური პოლარიზაცია დავძლიოთ. შეიძლება, პოლარიზაცია, გარკვეულწილად, დადებითიც იყოს და აუცილებელიცაა, მაგრამ რადიკალური პოლიტიკური პოლარიზაცია, პირველ რიგში, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს გეოპოლიტიკურად ვნებს.

ამერიკა, ევროკავშირი და რუსეთი თავიანთ გეოპოლიტიკურ პროექტებს ახორციელებენ. ბუნებრივია, ჩვენი ორიენტაცია „აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკურ პროექტზე“ უნდა იყოს, რაც საშუალებას მოგვცემს, გეოეკონომიკური ჰაბის სტატუსი მივიღოთ. შესაბამისად, შეიძლება, ჩვენი ეკონომიკურ-პოლიტიკური მაჩვენებლები გავიმყაროთ.

***— რუსეთის მხრიდან სამხედრო კომპონენტების გამოყენებაში რა იგულისხმება?***

— შეიძლება ყველაფერი იგულისხმებოდეს.

***— პირდაპირ ღია სამხედრო აგრესიაც?***

— რუსეთმა ყოველგვარი წითელი ხაზები გადალახა და უკრაინას პირდაპირ თავს დაესხა, რაც იმდენად მოულოდნელი იყო, უკრაინის ხელისუფლებაც კი შოკში ჩააგდო. რუსეთის ასეთ თავხედობას, ისინიც კი არ მოელოდნენ. რუსეთს ხელ-ფეხი უკვე გახსნილი აქვს და, რა გასაკვირია, რომ სამხედრო კომპონენტები აამოქმედოს. მას არაფერი შეაფერხებს, ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი სამხედრო პოტენციალი გამოიყენოს.

რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ თავისი სამხედრო პოტენციალი აამოქმედა და ამერიკასაც მუშტს უღერებს, ბირთვული ომით იმუქრება. მოსკოვი არაპროგნოზირებადი გახდა. ამიტომ მათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

***— ისე, „აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკურ პროექტში“ მონაწილეობის დიდი ინტერესია საქართველო-ყაზახეთი-აზერბაიჯანისა და ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან.***

— დიახ, აქ თურქეთის ინტერესიცაა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სომხეთსაც შესთავაზა, „აღმოსავლეთ-დასავლეთის შუა კორიდორის გეოეკონომიკურ პროექტში“ ჩაებას. სომხების მონაწილეობამ, შეიძლება, რუსეთი მწყობრიდან გამოიყვანოს.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკურ პროექტში“ სომხეთიც თუ ჩაებმება, რუსეთს გავლენისა და მანიპულაციის ბერკეტები ხელიდან გამოეცლება. ამიტომ ყველანაირად შეეცდება, აღნიშნული პროექტის განხორციელება არ დაუშვას და საქართველო „ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოეკონომიკური პროექტის“ რეალიზაციის საქმეში ჩაითრიოს.

***— უკრაინაში ფართო ფრონტზე გაშლილი საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, აღმოსავლეთ-დასავლეთის გეოეკონომიკური პროექტის ჩასაშლელად, შეიძლება, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კომპონენტები გამოიყენოს?***

— რუსეთმა უკრაინის წარუმატებელი სამხედრო კამპანიის საკომპენსაციოდ შეიძლება რაიმე მოკლევადიანი წარმატებული ომის აქცია ჩაატაროს. ეს მათთვის ერთ-ერთი პოზიტიური მომენტი იქნება.

***— დღევანდელი მდგომარეობით, უკრაინის ფრონტებზე არსებულ მდგომარეობას როგორ აფასებთ?***

— ამ ეტაპზე სიტუაცია საკმაოდ რთულია. გააჩნია, ფრონტის რომელ ხაზზეა საუბარი. დონეცკის ფრონტის ხაზზე სიტუაცია კრიტიკულია. ლუგანსკის, ხარკოვისა და ხერსონის მიმართულებით პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს და სიტუაცია დაბალანსებულია.

ამერიკამ 2,5 მილიარდის დახმარების პაკეტი გამოყო, რომლითაც, შეიძლება, უკრაინას მძიმე შეიარაღება გადაეცეს, რასაც რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოიყენებს. ასევე საუბარია საბრძოლო ტანკების გადაცემაზე. არ არის გამორიცხული, უკრაინამ მრავალფუნქციური ავიაგამანადგურებლების, „ეფ-16-ის“ პარტიაც მიიღოს.

***— ამ სამხედრო დახმარების პირობებში, უკრაინას ომში თავის სასარგებლოდ გარდატეხის შეტანის შანსი მიეცემა?***

— ცხადია, გავლენას იქონიებს. უკრაინამ მოითხოვა 160 „ეფ-16-ის“ გადაცემა. ეს იქნება 32,5 მილიარდი დოლარის სამხედრო ტექნიკა, რაც უკრაინას საშუალებას მისცემს, ცა დაიცვას.

***— იმის შესაძლებლობა არის, რომ უკრაინას ამდენი ავიაგამანადგურებელი მიაწოდონ?***

— ვნახოთ. ახლა მთავარია უკრაინას საჭირო შეიარაღება მიეწოდოს, რომ როგორმე უკრაინელებმა რუს ოკუპანტებს ქვეყნის ოკუპაციის საშუალება არ მისცენ. იმედია, დასავლეთი ამ მისიას შეასრულებს.

***— უკრაინა რუსეთს მედგრად კი დაუდგა, მაგრამ, ალბათ, 24 თებერვალს რუსეთის მხრიდან დიდი შეტევა კიდევ არის მოსალოდნელი.***

— დიახ, არც უკრაინის შეიარაღებული ძალებია ჯაბანი. უკრაინელები ამგვარი ტიპის საფრთხისთვის ემზადებიან.

***— უკრაინის ხელისუფლებაში კორუფციის ფაქტების გამოვლინებაზე რას იტყვით?***

— კორუფცია ყველგან არის. კორუფციის ფაქტები აგვისტოს ომის პერიოდშიც გამოვლინდა აფხაზეთისა და ცხინვალის ომის პერიოდში, რაც ცალკე საუბრის თემაა. მთავარია, რომ უკრაინის ხელისუფლებამ უკვე მედგარი ზომები მიიღო, რამდენიმე ოლიგარქსაც კი შეუტია, ფაქტობრივად, ძალოვან და სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული წმენდა ჩაატარა. სერიოზული კორუფცია გამოავლინა. მმართველი პოლიტიკური ფრაქციის თავმჯდომარის, თუ არ ვცდები, არახამიას მოადგილე გაათავისუფლეს, პოლიტიკური პარტიიდან და მმართველი პარტიიდან გარიცხეს.

## კახეთში ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს



ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, თელავის სატყეო უბნიდან უკანონოდ მოპოვებული წიფლის სახეობის 5 მ3-მდე მეორე ხარისხის საშეშე მერქნის ტრანსპორტირებას მოქალაქე სატვირთო ავტომობილით ახორციელებდა. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა ავტოსატრანსპორტო საშუალება დალუქეს და თელავის „საქმიან ეზოში“ გადაიყვანეს.

მათივე ცნობით, ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა. საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის საგამოძიებო ორგანოში გადაიგზავნა.

უკანონოდ მოპოვებული საშეშე მერქანი თელავის „საქმიან ეზოში“ დასაწყობდა, საიდანაც მისი რეალიზაცია მოხდება.

## რუსთავში ცოლმა ქმარი დანით დაჭრა

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 40 წლამდე ქალმა კაცი დანით, გულმკერდის არეში დაჭრა.

დაჭრილი კაცი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცავებმა ქალი ადგილზე დააკავეს.

## მარნეულში გაუჩინარებული 15 წლის გოგო იპოვეს, დაკავებულია გოგონას მამა

მარნეულის ერთ-ერთ სოფელში გაუჩინარებული 15 წლის გოგო, რომელიც 3 დღის წინ იძულებით დანიშნეს, ნაპოვნია და უსაფრთხო ადგილას არის გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დააკავეს მოზარდი გოგოს მამა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 150-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

## სურსათის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის ოფისში ხანძარი გაჩნდა



სურსათის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის ოფისში ხანძარი გაჩნდა. წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი სახურავის ნაწილს მოეკიდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, ხანძარი ამჟამად ლიკვიდირებულია. ადგილზე რჩებიან სახანძრო – სამაშველო ეკიპაჟები.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. სურსათის ეროვნული სააგენტოს სამსახური მიყენებულ ზარალს მოგვიანებით დაითვლის.

## ახალქალაქში ქორწილის მანქანა ავარიაში მოყვა

ახალქალაქი-არაგვას გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ქორწილის კორტეჟის მანქანა საპირისპიროდ მიმავალ ავტომობილს შეეჯახა. დაშავდა 6 ადამიანი.

დაშავებულები ახალქალაქის კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ მდგომარეობის სიმძიმის გამო, ოთხი მათგანის თბილისში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს.

## რუსთავში ხანძარს ქალი ემსხვერპლა

რუსთავში, მარის არხის დასახლებაში ხანძარს ქალი ემსხვერპლა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

ცეცხლი ერთ-ერთ ფიცრულში გაჩნდა, სადაც 70 წლამდე ქალი იმყოფებოდა, რომელმაც ფიცრულის დატოვება ვერ მოახერხა და ადგილზე დაიღუპა.

ცეცხლი, სავარაუდოდ, ელექტროგამათბობლისგან გაჩნდა.

## გელა ნიკოლაიშვილი: „მიზანია თავისუფლება, რაც მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფობის რაც შეიძლება მეტად დამძიმების გზაზე გადის“



მათი მიზანი ჯანმრთელობა არ არის, მათი მიზანია თავისუფლება, – ამის შესახებ პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა გელა ნიკოლაიშვილმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების შეფასებისას განაცხადა.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის თავისუფლება გადის მისი ავადმყოფობის რაც შეიძლება მეტად დამძიმების გზაზე.

– კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა ის რეალობა, რაც გვაქვს. ერთი მხრივ, არის ექიმების გუნდი და პენიტენციური სისტემა, რომელთა მიზანიც არის, რაც შეიძლება ჯანმრთელი იყოს ეს ადამიანი, ცოცხალი იყოს და არის მეორე გუნდი, რომელსაც პოლიტიკური მიზნები აქვს. მათი მიზანი ჯანმრთელობა არ არის, მათი მიზანია, თავისუფლება. ეს თავისუფლება გადის მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფობის რაც შეიძლება მეტად დამძიმების გზაზე და ეს ორი მიზანი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამაზე განსაკუთრებით ილაპარაკა ნინო ნადირაძემ.

რაც შეეხება მეორე მოწმეს, რაც მას კითხვები დაუსვეს, გასცა ადეკვატური პასუხები, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

კითხვაზე, არის თუ არა დარღვევა კლინიკა „ვივამედის“ გენერალური დირექტორის, ნინო ნადირაძის მიერ მიხეილ სააკაშვილის კვების შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება, გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს:

– არ მგონია, რომ რას მიირთმევს და რას ჭამს ადამიანი, ეს იყოს რაღაც პერსონალური ინფორმაცია.

## შალვა ხაჭაპურიძე: „დასკვნით სიტყვას ვიტყვით და მოსამართლე გადაწყვეტილებას გამოაცხადებს, იმედია, ეს იქნება ისტორიული გადაწყვეტილება“



საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით ხვალინდელ სასამართლო სხდომაზე მხარეები დასკვნით სიტყვას წარმოთქვამენ, რის შემდეგაც მოსამართლე გიორგი არევაძემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

შალვა ხაჭაპურიძე იმედოვნებს, რომ ხვალ სასამართლო ისტორიულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ჩვენ დასკვნით სიტყვებს ვიტყვით და მოსამართლე გადაწყვეტილებას გამოაცხადებს. იმედია, ეს იქნება ისტორიული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაზე დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლე და საქართველოს მომავალი.

რაც შეეხება ბრალდების მხარის და პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილ პოზიციას, სამხარაულის გაყალბებული დასკვნის და საეჭვო ფსიქიკური მდგომარეობის ექიმის გარდა, არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ“ – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

ხაჭაპურიძის შეფასებით, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მოსამართლემ მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია გაიზიაროს.

– მთავარია, ახლა მოსამართლემ თავის თავში იპოვოს ძალა იმ ზეწოლების მიუხედავად, რაც ხორციელდებოდა სასამართლოზე, ეს იყო მთავრობის მხრიდან, პარლამენტის მხრიდან, ზოგადად პოლიტიკოსებისგან, მან გაუძლოს ამ ზეწოლას და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

## ლანჩხუთში, ეკლესიაში ტრაპეზზე სტიქაროსანი დაჭრეს



სისხლიანი დაპირისპირება სტიქაროსნებს შორის – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის ღვთისმშობლის ეკლესიაში ტრაპეზზე სტიქაროსანს, მამუკა წიკლაურს, ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის ღვთისმშობლის ეკლესიაში საშობაო ტრაპეზზე მოხდა.

სისხლიანი დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მონასტრის წინამძღვარს. მამა იოანე კვარაცხელიამ მძიმე მდგომარეობაში მყოფი წიკლაური საკუთარი ავტომობილით წაიყვანა, თუმცა საავადმყოფომდე არ მიუყვანია და რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დატოვა.

დაჭრილი საავადმყოფოში თვითდინებით შევიდა. მას ცივი იარაღით ჭრილობები მუცლის არეში ჰქონდა მიყენებული.

– რომ შემოვიდა, იყო მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა. შეიყვანეს საოპერაციოში. ოპერაციაზე აღმოჩნდა დაზიანებული ღვიძლის კიდე, საიდანაც მოდიოდა სისხლი. თვითდინებით არის შემოსული პაციენტი, თავისი ფეხით. შემავალი რაც იყო კანში, მუცლის ღრუში, კანის მთლიანობა დარღვეული იყო და იქიდან ჩანდა, რომ იყო სისხლდენა, – ამბობს დავით დარახველიძე, „ავერსის კლინიკის“ კლინიკური მენეჯერი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა იოანე (კვარაცხელია) ამბობს, რომ დაპირისპირება სტიქაროსნებს შორის არა ტრაპეზის დროს, არამედ სოფლის ცენტრში მოხდა და მან არ იცოდა, რომ მამუკა წიკლაური დაჭრილი იყო.

– რომ გავედი, იმ ბიჭმა მითხრა, მამაო, თუ შეიძლება ლანჩხუთში ჩამიყვანეო. მე მივიყვანე ლანჩხუთში და აქვე შევალო მითხრა, რაღაც მტკივა გვერდიო მითხრა და ჩემი ცოლი მოიყვანეო. წავედი, დავტოვე და თავისი ცოლი მივიყვანე. მე არ ვიცოდი, მე რა ვიცოდი, დაჭრილი რომ იყო? მამუკა წიკლაური არის ჩემი სტიქაროსანი, მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, დაჭრილი რომ იყო, წირვაზე ვიყავი-მეთქი გეუბნები. ტრაპეზზე არ მომხდარა ეს, პატრულმაც იცის, ყველამ იცის, რომ ეს მოხდა სოფლის ცენტრში. საავადმყოფოს გვერდზე დავტოვე და მთხოვა, მე შევალ, ჩემი ცოლი ექიმია და მომიყვანეო. წავედი, ცოლი მოვუყვანე, – ამბობს ის.

## შსს-მ პოლიციელისა და ორი მოქალაქის დაჭრისთვის ძებნილი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმისთვის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის ძებნილი პირი – 2003 წელს დაბადებული დ.დ. დააკავეს.

დანაშაულები 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 8 იანვარს, თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩაზე, ერთ-ერთი ღამის კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა ორ პირს. დ.დ.-მ ასევე დაჭრა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი – 1985 წელს დაბადებული ზ.გ., რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე სამსახურებრივ შემოვლას აწარმოებდა და შემთხვევის ადგილზე მივიდა. ბრალდებულმა მიმალვა შეძლო.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა სამივე დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი დახმარება გაეწიათ.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირის ვინაობა მალევე დაადგინეს და მასზე ძებნა გამოცხადდა. პოლიციამ დ.დ., ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში დააკავა.

სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე, 118-ე და 353 პრიმა მუხლებით მიმდინარეობს

## „ცოლმა უღალატა, ცოლის საყვარელმა კი მოკლა... ორჯერ ჩაარტყა დანა ყელში“



10 თვის წინ საფრანგეთში საქართველოს გაუჩინარებული მოქალაქის, 30 წლის ელბრუს გარაჯაევის მკვლელობის საქმეზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდა კაცის მკვლელობის მოტივი ცოლზე ეჭვიანობა გახდა.

მოკლულის ძმის, ელვარ გარაჯაევის თქმით, ჯერ მოკლეს მისი ძმა, შემდეგ კი, დანაშაულის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილის ცხედარი რამდენჯერმე სხვადასხვა ადგილას გადაიტანეს.

– ცოლი ახლოს არ უშვებდა, არც სახლში. უკვე 5-6 თვის ფეხმძიმე იყო, აღარ ჰქონდა ჩემს ძმასთან კონტაქტი. მარტში 15-დან 20 რიცხვამდე აიღო შვებულება. მე დილიდან საღამომდე ვმუშაობდი და შემდეგ გავიგე, რომ უთვალთვალებდა თავის ცოლს, ეჭვი ჰქონდა ალბათ რაღაც. დაურეკა ელჩინს, კაცს, რომელზეც ჰქონდა ეჭვი და დაუთქვა შეხვედრა. ელჩინმა შეცვალა შეხვედრის ადგილი და დაიბარა გარაჟში, ხელოსანი ყოფილა მანქანის. როცა მივიდა მასთან, ჩემმა ძმამ დაუწყო ცემა. ელჩინს დაუწყია ყვირილი დამეხმარეთო. ვილაც ორი კაცი გადმოსულა მანქანიდან და რკინა ჩაარტყეს თავში. მათ ჩემი ძმა ეჭირათ ხელში, ელჩინმა კი დანა ჩაარტყა ყელში ორჯერ... – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მოკლულის ძმა.

სამართალდამცავებმა 30 წლის ელბრუს გარაჯაევის მკვლელობის საქმეზე დააკავეს 6 პირი, რომელთაგან სამს ავტომობილის დაწვას, სამს კი განზრახ მკვლელობას ედავებიან.

# შეძლებს თუ არა რუსეთი ამა წლის მარტამდე დონბასის ოკუპაციას?!



რუსეთის დიქტატორმა პუტინმა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში განაცხადა, რომ 2023 წლის მარტისათვის მთელი დონბასის ტერიტორიას რუსული არმია დაიკავებს. პუტინი საამისოდ მართლაც გულმოდგინეთ მოემზადა. უმოკლეს დროში მან 200.000 ჯარისკაცის მობილიზება შეძლო. ამას წინ უძღოდა სათანადო იდეოლოგიური მომზადებაც.

კრემლი რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტს უარყოფდა. ის აცხადებდა, რომ მიმდინარეობს ომი ნატოსთან, შესაბამისად, სახეზეა აგრესია რუსეთის წინააღმდეგ და რუსეთსაც სამამულო ომი აქვს, როგორც ეს 1812 ან 1941-45 წლებში მოხდა. ამავე დროს პუტინს ეყო ჭკუა, რომ ე.წ. „სამამულო ომი" აშკარად არ გამოეცხადებინა, რადგან ეს უკვე აშშ-სა და ევროკავშირთან აშკარა კონფრონტაციას ნიშნავდა. რუსეთის დიქტატორი მხოლოდ მობილიზაციის გამოცხადებას და შოვინისტური, ანტიამერიკული პროპაგანდის გაძლიერებას დასჯერდა.

ნაჩქარევმა მობილიზაციამ გამოამზეურა ის პრობლემები, რასაც დღევანდელი რუსეთი განიცდის. აღმოჩნდა, რომ მობილიზებულებისათვის არც ყაზარმები, არც საკვები არ ჰყოფნით, რუსული არმიის საუკეთესო ნაწილი კი უკვე უკრაინასთან ბრძოლაში დაეცა. ახლად მობილიზებულთა ნაჩქარევმა მომზადებამ კი შედეგი არ გამოიღო. პუტინის გეგმების ნაწილიც უკვე ჩაიშალა.

– რუსეთის დიქტატორს ძალზე უყვარს თარიღები. ამიტომ დაგეგმილი იყო სტალინგრადის ბრძოლის დამთავრების წლისთავისათვის ბახმუტი აეღოთ, – აცხადებს უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი გენერალი ბუდანოვი.

2 თებერვალს რუსეთმა სტალინგრადის ბრძოლის წლისთავი მართლაც აღნიშნა, მაგრამ ბახმუტის აღების გარეშე. ქალაქზე კვლავაც უკრაინული დროშა ფრიალებს.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა სოლედარშიც. ის მთლიანად დაინგრა. რუსებმა უკვე დანგრეული ქალაქის ცენტრი დაიკავეს. რაც შეეხება გარეუბნებს, მათთვის ბრძოლები გრძელდება. ამავე დროს რუსებმა მარცხი იწვნიეს უგლედართან. ამ ფონზე მოუხდათ ოკუპანტებს სტალინგრადის ბრძოლის წლისთავის აღნიშვნა.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი, მიმოიხილავს რა შექმნილ ვითარებას, ასკვნის, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ რუსეთი ძლიერ, დამრტყმელ დაჯგუფებას შექმნის. დამატებით კიდევ 200.000 ჯარისკაცის მობილიზება რუსეთში არსებულ სოციალურ პრობლემებს კიდევ უფრო გაამძაფრებს. კვლავაც არ არსებობს ყაზარმები მობილიზებულთა განსათავსებლად, პრობლემებია მათი საკვებით მომარაგების საკითხშიც. რასაკვირველია, რუსეთი ფრონტის რიგ უბნებზე გააქტიურდება. ესაა, უწინარეს ყოვლისა, სვატოვო-კრემენოე, აგრეთვე სოლედარი, ბახმუტი, ავდეევკა და მარინკა. გაიზრდება უკრაინული ქალაქების დაბომბვის ფაქტებიც. ამავე დროს ალბათობა იმისა, რომ რუსები წარმატებას მიაღწევენ, მცირეა. ის ფაქტი, რომ უკრაინა დასავლეთისაგან უკვე რაკეტებსა და ტანკებს მიიღებს, ბრძოლის ველზე რუსების გამარჯვების შანსებს ამცირებს. ამიტომ ძალზე საეჭვოა, რომ ამა წლის მარტამდე რუსეთმა დონბასის ოკუპაცია შეძლოს.

უკრაინაში შეჭრის წინ პუტინი აცხადებდა, რომ კიევს სამ დღეში აიღებდა. ეს ჩაიშალა. რუსეთის დიქტატორმა თავისი ძალები გადაჭარბებულად შეაფასა. დღესაც იგივე მეორდება.

## ვოლგოგრადში სტალინის ძეგლი აღმართეს




როგორც ცნობილია, რუსეთმა სტალინგრადის ბრძოლის მორიგი წლისთავი აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით ვოლგოგრადში ჩატარდა სამხედრო პარადი. სამხედროებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღეს პოლიციელებმაც.

ზეიმი კი საბჭოთა დიქტატორის ი.ბ. სტალინის ძეგლის გახსნით დაგვირგვინდა. მას უამრავი ადამიანი დაესწრო. ძეგლი ტაშის გრიალში გახსნეს.

– დღევანდელ რუსეთში სტალინის რეიტინგი პუტინისას აღემატება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

მართლაც, სოციოლოგიურმა კვლევებმა განსაცვიფრებელი სურათი წარმოაჩინა. კითხვაზე, სტალინი რომ ცოცხალი იყოს, პრეზიდენტის პოსტზე მას მისცემდით ხმას თუ პუტინსო, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: სტალინს მხარი 80%-მა დაუჭირა, პუტინს – მხოლოდ 15%-მა.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების აქტიურობამ მკვეთრად მოიმატა უკრაინის სამხრეთშიც. თანახმად რუსებმა ზაპოროჟიეს მიმართულებით დამატებით კიდევ 20 ტანკი გადაისროლეს და შემდეგ შეტევაზე გადასვლა სცადეს. უკრაინელებმა იერიში მოიგერიეს. ოკუპანტებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან.

მსგავსი სურათია ხერსონის ოლქშიც. იქაც რუსები იერიშზე გადასვლას ლამობენ. უკრაინელები ამის საშუალებას არ აძლევენ. რუსების რიგებში მსხვერპლი იზრდება. პასუხად ოკუპანტებმა დაბომბეს ხერსონი და ზაპოროჟიე. ხერსონში დანგრეულია სახლები. დაიღუპა 1, დაშავდა 6 მშვიდობიანი მოქალაქე.

რუსების აქტიურობის ზრდამ გამოიწვია დანაკარგის მატება მათ რიგებში. დღეისათვის უკრაინის გენშტაბის მონაცემებით სურათი შემდეგია: ტანკები – 3.218, არტილერია – 2.220, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 225, თვითმფრინავები – 294, ვერტმფრენები – 284.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ბაიდენმა პენტაგონის რჩევა გაიზიარა



როგორც ცნობილია, აშშ-ის თავზე უცნობი აეროსტატი გამოჩნდა. სავარაუდოდ, ის სადაზვერვო ხასიათისაა და ჩინეთს ეკუთვნის.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა ურჩია ბაიდენს, აეროსტატი არ ჩამოეგდოთ. პრეზიდენტი დაეთანხმა და ამის გამო ამერიკელი რესპუბლიკელების მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა:

– მოვუწოდებ ბაიდენს, რომ ჩინური აეროსტატი ჩამოაგდოს! – აცხადებს ექსპრეზიდენტი ტრამპი.

ამერიკულმა ავიაგამანადგურებლებმა ჩინური საჰაერო ბურთი ჩამოაგდეს.

## აშშ-ის დაზვერვის შეფის პროგნოზი




აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (ცსს) დირექტორის უილიამ ბიორნსის პროგნოზით, უახლოესი ექვსი თვე უკრაინისათვის კრიტიკული იქნება. პუტინი მასშტაბური შეტევის განხორციელებას შეეცდება.

– საეჭვოა, რომ დონბასის ფრონტზე პუტინმა თავისი მიზნების მიღწევა შეძლოს. ამიტომ ის უკრაინის ქალაქების დაბომბვას გააძლიერებს. არ არის გამორიცხული, უკრაინის სამხრეთში შეტევების განხორციელების მცდელობაც, – მიიჩნევს ბიორნსი.

ცსს-ის დირექტორის აზრით, პუტინი მთავარ იმედებს დასავლეთის ომისაგან დაქანცვაზე ამყარებს. ამავე დროს ომის გახანგრძლივებისათვის მას რესურსები არ გააჩნია. პუტინი შეეცდება საომარი მოქმედებების გააქტიურებას. ის ფაქტი, რომ დასავლეთი უკრაინას უკვე ტანკებსა და რაკეტებს აწვდის, უდავოდ ხდის იმას, რომ საომარი მოქმედებები ძალზე მძაფრი იქნება.

## აშშ უკრაინისათვის დახმარებას აძლიერებს

აშშ-მ უკრაინას დახმარების ახალი პაკეტი გამოუყო. ამის შესახებ განაცხადა ამერიკელმა ადმირალმა რეიდერმა.

დახმარების ახალი პაკეტი 2,5 მილიარდი დოლარის ღირებულებისაა. მასში პირველად შევიდა ზეზუსტი რაკეტები. ისინი 150 კმ-ზე ისვრიან.

## უკრაინელები ბახმუტს არ ჩააბარებენ

ბახმუტთან ბრძოლებია. რუსი ოკუპანტები წინ მიიწევენ, მაგრამ ამაოა მათი მცდელობა, დაამყარონ კონტროლი ბახმუტ-კონსტანტინოვკის ტრასაზე. სინამდვილეს არ შეესაბამება არც რუსული მედიის მიერ გავრცელებული ცნობა ბახმუტის ნახევრად რკალში მოქცევის თაობაზე.

– რუსები ამის გაკეთებას მართლაც ცდილობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს, – აცხადებს უკრაინის გენერალური შტაბი.

რუსებმა ბახმუტთან დიდი ძალები გადაისროლეს და უკრაინელთა თავდაცვის გარღვევა სცადეს. შეტევა მოგერიებულ იქნა. რუსების დანაკარგებია 9 მოკლული და 30 დაჭრილი. ოკუპანტებმა ასევე სცადეს სივერსკის მიდამოებისაკენ გარღვევა, მაგრამ ამაოდ. შეტევა მოგერიებულ იქნა. ოკუპანტებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან.

ბახმუტის გარდა ბრძოლებია სოლედარის გარეუბნებში, ავდეევკასთან და ა.შ. რუსი ოკუპანტების აქტიურობამ მკვეთრად მოიმატა. გამომდინარე აქედან, კანონზომიერია, რომ რუსების რიგებში დანაკარგები გაიზარდა.

რუსების აგრესიულობის ზრდის პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დონეცკზე, გორლოვკასა და დონბასის ოკუპირებულ სხვა ქალაქებზე. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

## სპორტი — შედეგები

4 თებერვალი
ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი
### ფინალი

ალჟირი-სენეგალი 0:0 ................(4:5პ)

### მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

ვიდადი-ალ ჰილალი ............. 1:1(3:5პ)
სიეტლი-ალ აჰლი ............................ 0:1

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-არსენალი ......................... 1:0
ასტონ ვილა-ლესტერი ...................... 2:4
ბრაიტონი-ბორნმუთი ......................... 1:0
ბრენტფორდი-საუთჰემპტონი ........ 3:0
ვულვზი-ლივერპული ......................... 3:0
მანჩესტერი-კრ.პალასი ..................... 2:1
ნიუკასლი-ვესტ ჰემი ........................ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 20 | 16 | 2 | 2 | 45-17 | 50 |
| 2.სიტი | 20 | 14 | 3 | 3 | 53-20 | 45 |
| 3.მანჩესტერი | 21 | 13 | 3 | 5 | 34-26 | 42 |
| 4.ნიუკასლი | 21 | 10 | 10 | 1 | 34-12 | 40 |
| 5.ტოტენჰემი | 21 | 11 | 3 | 7 | 40-31 | 36 |
| 6.ბრაიტონი | 20 | 10 | 4 | 6 | 38-27 | 34 |
| 7.ბრენტფორდი | 21 | 8 | 9 | 4 | 35-28 | 33 |
| 8.ფულემი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-30 | 32 |
| 9.ჩელსი | 21 | 8 | 6 | 7 | 22-21 | 30 |
| 10.ლივერპული | 20 | 8 | 5 | 7 | 34-28 | 29 |
| 11.ასტონ ვილა | 21 | 8 | 4 | 9 | 25-31 | 28 |
| 12.კრ.პალასი | 21 | 6 | 6 | 9 | 19-29 | 24 |
| 13.ლესტერი | 21 | 6 | 3 | 12 | 32-37 | 21 |
| 14.ნოტინგემი | 20 | 5 | 6 | 9 | 16-35 | 21 |
| 15.ვულვზი | 21 | 5 | 5 | 11 | 15-30 | 20 |
| 16.ვესტ ჰემი | 21 | 5 | 4 | 12 | 18-26 | 19 |
| 17.ლიდსი | 19 | 4 | 6 | 9 | 26-33 | 18 |
| 18.ევერტონი | 21 | 4 | 6 | 11 | 16-28 | 18 |
| 19.ბორნმუთი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-43 | 17 |
| 20.საუთჰემპტონი | 21 | 4 | 3 | 14 | 17-38 | 15 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ნორვიჩი-ბარნლი ............................. 0:3
როტერჰემი-შეფილდი ....................... 0:0
ლუთონი-სტოკი ................................. 1:0
მიდლსბრო-ბლექპული ...................... 3:0
მილუოლი-სანდერლენდი ................ 1:1
პრესტონი-ბრისტოლი ...................... 1:2
რედინგი-უოტფორდი ...................... 2:2
სუონსი-ბირმინგემი ........................ 3:4
ჰადერსფილდი-ქპრ ......................... 1:1
ჰალი-კარდიფი .................................. 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ჰერტა ........................... 3:0
დორტმუნდი-ფრაიბურგი .............. 5:1
ბოხუმი-ჰოფენჰაიმი ........................ 5:2
კიოლნი-ლაიფციგი ......................... 0:0
უნიონი-მაინცი ................................ 2:1
გლადბახი-შალკე ............................ 0:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 19 | 12 | 3 | 4 | 33-23 | 39 |
| 2.ბაიერნი | 18 | 10 | 7 | 1 | 52-16 | 37 |
| 3.დორტმუნდი | 19 | 12 | 1 | 6 | 38-26 | 37 |
| 4.ლაიფციგი | 19 | 10 | 6 | 3 | 39-24 | 36 |
| 5.აინტრახტი | 19 | 10 | 5 | 4 | 40-26 | 35 |
| 6.ფრაიბურგი | 19 | 10 | 4 | 5 | 30-30 | 34 |
| 7.ვოლფსბურგი | 18 | 8 | 5 | 5 | 36-22 | 29 |
| 8.გლადბახი | 19 | 7 | 5 | 7 | 34-29 | 26 |
| 9.ლევერკუზენი | 19 | 7 | 3 | 9 | 30-31 | 24 |
| 10.ვერდერი | 18 | 7 | 3 | 8 | 29-37 | 24 |
| 11.კიოლნი | 19 | 5 | 8 | 6 | 29-31 | 23 |
| 12.მაინცი | 19 | 6 | 5 | 8 | 27-31 | 23 |
| 13.აუგსბურგი | 19 | 6 | 3 | 10 | 24-33 | 21 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 19 | 5 | 4 | 10 | 28-36 | 19 |
| 15.ბოხუმი | 19 | 6 | 1 | 12 | 24-46 | 19 |
| 16.შტუტგარტი | 18 | 3 | 7 | 8 | 22-32 | 16 |
| 17.ჰერტა | 19 | 3 | 5 | 11 | 20-35 | 14 |
| 18.შალკე | 19 | 2 | 5 | 12 | 14-41 | 11 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ჰაიდენჰაიმი ............ 2:0
კაიზერი-კილი ................................. 2:1
რეგენსბურგი-არმინია .................... 1:3
ფიურტი-ნიურნბერგი ..................... 1:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ოსასუნა ....................... 1:1
ელჩე-ვილიარეალი ......................... 3:1
ატლეტიკო-ხეტაფე ......................... 1:1
ბეტისი-სელტა ................................. 3:4

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 39-7 | 50 |
| 2.რეალი | 19 | 14 | 3 | 2 | 40-16 | 45 |
| 3.სოსიედადი | 19 | 12 | 3 | 4 | 28-18 | 39 |
| 4.ატილეტიკო | 20 | 10 | 5 | 5 | 29-17 | 35 |
| 5.ბეტისი | 20 | 9 | 4 | 7 | 24-20 | 31 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 4 | 7 | 22-17 | 31 |
| 7.ბილბაო | 20 | 8 | 5 | 7 | 29-21 | 29 |
| 8.ოსასუნა | 20 | 8 | 5 | 7 | 19-19 | 29 |
| 9.რაიო | 19 | 8 | 5 | 6 | 25-22 | 29 |
| 10.მალიორკა | 19 | 7 | 4 | 8 | 15-18 | 25 |
| 11.სელტა | 20 | 6 | 5 | 9 | 22-32 | 23 |
| 12.ალმერია | 19 | 6 | 4 | 9 | 23-29 | 22 |
| 13.ხირონა | 19 | 5 | 6 | 8 | 26-29 | 21 |
| 14.სევილია | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| 15.ესპანიოლი | 20 | 4 | 9 | 7 | 24-30 | 21 |
| 16.ვალიადოლიდი | 19 | 6 | 2 | 11 | 14-28 | 20 |
| 17.ვალენსია | 19 | 5 | 5 | 9 | 25-23 | 20 |
| 18.კადისი | 20 | 4 | 7 | 9 | 15-33 | 19 |
| 19.ხეტაფე | 20 | 4 | 6 | 10 | 17-27 | 18 |
| 20.ელჩე | 20 | 1 | 6 | 13 | 15-40 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-ხიხონი ............................ 1:0
უესკა-მირანდესი ............................ 1:0
ტენერიფე-ალბასეტე ...................... 1:0
ალავესი-ეიბარი .............................. 2:0

### იტალია. სერია ა

კრემონეზე-ლეჩე ............................ 0:2
რომა-ემპოლი .................................. 2:0
სასუოლო-ატალანტა ....................... 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 18 | 2 | 1 | 51-15 | 56 |
| 2.რომა | 21 | 12 | 4 | 5 | 28-18 | 40 |
| 3.ინტერი | 20 | 13 | 1 | 6 | 40-26 | 40 |
| 4.ლაციო | 20 | 11 | 5 | 4 | 36-16 | 38 |
| 5.ატალანტა | 21 | 11 | 5 | 5 | 39-24 | 38 |
| 6.მილანი | 20 | 11 | 5 | 4 | 37-29 | 38 |
| 7.უდინეზე | 20 | 7 | 8 | 5 | 28-22 | 29 |
| 8.ტორინო | 20 | 7 | 6 | 7 | 21-22 | 27 |
| 9.ემპოლი | 21 | 6 | 8 | 7 | 19-26 | 26 |
| 10.ბოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 26-30 | 26 |
| 11.მონცა | 20 | 7 | 4 | 9 | 25-28 | 25 |
| 12.ფიორენტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 22-26 | 24 |
| 13.იუვენტუსი | 20 | 11 | 5 | 4 | 30-17 | 23 |
| 14.სასუოლო | 21 | 6 | 5 | 10 | 24-31 | 23 |
| 15.ლეჩე | 21 | 5 | 8 | 8 | 21-24 | 23 |
| 16.სალერნიტანა | 20 | 5 | 6 | 9 | 25-38 | 21 |
| 17.სპეცია | 21 | 4 | 6 | 11 | 17-35 | 18 |
| 18.ვერონა | 20 | 3 | 4 | 13 | 18-32 | 13 |
| 19.სამპდორია | 20 | 2 | 3 | 15 | 8-34 | 9 |
| 20.კრემონეზე | 21 | 0 | 8 | 13 | 15-37 | 8 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ვენეცია ........................ 1:2
კოზენცა-ტერნანა ........................... 0:0
პერუჯა-ბრეშა ................................ 4:0
პიზა-ზიუდტიროლი ........................ 0:1
სპალი-ბარი ..................................... 3:4
ჩიტადელა-ასკოლი ......................... 3:0
კომო-ფროზინონე ........................... 0:2

### საფრანგეთი. ლიგა 1

პსჟ-ტულუზა .................................. 2:1
ტრუა-ლიონი .................................. 1:3
რენი-ლილი ..................................... 1:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 17 | 3 | 2 | 54-17 | 54 |
| 2.მარსელი | 21 | 14 | 4 | 3 | 42-17 | 46 |
| 3.ლანსი | 21 | 13 | 6 | 2 | 33-15 | 45 |
| 4.მონაკო | 22 | 13 | 5 | 4 | 48-29 | 44 |
| 5.რენი | 22 | 12 | 4 | 6 | 41-25 | 40 |
| 6.ლილი | 22 | 11 | 5 | 6 | 38-27 | 38 |
| 7.ლორიანი | 21 | 10 | 5 | 6 | 35-34 | 35 |
| 8.ლიონი | 22 | 9 | 5 | 8 | 33-24 | 32 |
| 9.ნიცა | 21 | 8 | 7 | 6 | 24-20 | 31 |
| 10.კლერმონი | 22 | 8 | 6 | 8 | 24-29 | 30 |
| 11.რეიმსი | 21 | 6 | 11 | 4 | 26-26 | 29 |
| 12.ტულუზა | 22 | 8 | 5 | 9 | 36-38 | 29 |
| 13.ნანტი | 21 | 4 | 10 | 7 | 21-26 | 22 |
| 14.მონპელიე | 21 | 6 | 2 | 13 | 31-43 | 20 |
| 15.ბრესტი | 21 | 4 | 7 | 10 | 23-34 | 19 |
| 16.ტრუა | 22 | 4 | 7 | 11 | 33-48 | 19 |
| 17.აიაჩო | 21 | 5 | 3 | 13 | 18-37 | 18 |
| 18.სტრასბური | 21 | 2 | 9 | 10 | 25-39 | 15 |
| 19.ოსერი | 21 | 3 | 4 | 14 | 18-46 | 13 |
| 20.ანჟე | 21 | 2 | 2 | 17 | 18-47 | 8 |

### საფრანგეთი ლიგა 2

სტ.ეტიენი-ანსი .............................. 3:2

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ვოლენდამი-ალკმაარი .................... 1:1
უტრეხტი-ჰერენვენი ....................... 1:0
ემენი-ვიტესი .................................. 2:2
ექსელსიორი-ვალვაიკი .................. 0:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-ბოავიშტა ................. 2:2
ბენფიკა-კასა პია ............................ 3:0
ეშტორილი-გიმარაეში ................... 0:1

### ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-სტანდარდი ...................... 1:1
სერენი-ლეუვენი ............................ 2:1
ეუპენი-ვესტერლო ......................... 1:1
სტ.ტრუიდენი-კორტრაიკი ............ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-მოზერველი ................... 3:1
ლივინგსტონი-კილმანროკი .......... 3:1
რეინჯერსი-როსი ........................... 2:1
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ................. 0:1
ჰართსი-დ.იუნაიტედი .................. 3:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ქარაგუმრუქი ....... 0:2
სივასი-ბეშიქთაში .......................... 1:0
ანთალია-გაზიანთეპი .................... 1:0



## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# კობიაშვილი პრეზიდენტად მესამე ვადით აირჩიეს

სასტუმრო რადისონ ბლუ ივერიაში გამართულ სფფ-ის 33-ე საარჩევნო ყრილობაზე, დელეგატებმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მესამე ვადით ლევან კობიაშვილი აირჩიეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში ხმის უფლების მქონე 28 დელეგატმა მიიღო მონაწილეობა და ყველა მათგანმა ხმა ლევან კობიაშვილს მისცა. კობიაშვილი ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოს კიდევ ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

სფფ-ის პრეზიდენტთან ერთად, დელეგატებმა აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა აირჩიეს: აკაკი ალადაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ილია ინჯია, ნინო სორდია, თენგიზ სულაქველიძე, რომან ფიფია, ბესიკ ჩიხრაძე, კახა ჭუმბურიძე, გოჩა ჯამარაული და ნიკოლოზ ჯღარკავა.

სფფ-ის, ფიფას და უეფას დებულებებისა და წესდების დარღვევისთვის, სფფ-ის წევრობიდან გაირიცხა საფეხბურთო კლუბი ზუგდიდის დინამო, დამტკიცდა 2023 წლის ბიუჯეტი და დებულების თანახმად, დაინიშნა დამოუკიდებელი აუდიტი.

ღონისძიების ფარგლებში, ლევან კობიაშვილი დამსწრე საზოგადოების წინაშე სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში მოხსენებით წარდგა. მადლობა გადაუხადა სპონსორებს და სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის. ისაუბრა მოახლოებული 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მნიშვნელობაზე, რომელსაც საქართველო რუმინეთთან ერთად უმასპინძლებს. ხაზი გაუსვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც, სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, რაც ფეხბურთის კიდევ უფრო მეტად განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ისაუბრა, როგორც ეროვნული ნაკრების, ისე ფუტსალის ეროვნული ნაკრების წარმატებულ ასპარეზობაზე. ხაზი გაუსვა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მასობრივი, ქალთა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს.

კობიაშვილმა ასევე ისაუბრა მსაჯთა კორპუსის საერთაშორისო წარმატებაზე და ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯის ვიდეო ასისტენტის (ვარ) დანერგვის შესახებ. აღნიშნა სფფ-ის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ფეხბურთის ყველა რგოლს მოიცავს, ხაზი გაუსვა 2023 წელს, ბათუმში გასამართ მწვრთნელთა საერთაშორისო სამიტის მნიშვნელობას, რომელიც უეფას ყველაზე დიდი პროექტია ამ მიმართულებით.

კობიაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას ქართული ფეხბურთის განვითარების ახალი სტრატეგიის შესახებ, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ გასულ წელს წარადგინა და მოიცავს ყველა მიმართულებას ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის. სტრატეგიაში სწორედ ის ნაბიჯებია ასახული, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ფეხბურთის ფედერაცია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. ყრილობის დაწყებისას ლევან კობიაშვილმა მადლობა გადაუხადა არჩილ კონცელიძეს, რომელიც წლების განმავლობაში გვერდში ედგა ქართულ ფეხბურთს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საარჩევნო ყრილობას ესწრებოდნენ ფიფას წევრი ასოციაციების ევროპის განყოფილების დირექტორი ელხან მამადოვი, ფიფას წევრი ასოციაციების განყოფილების განვითარების პროგრამების კოორდინატორი ჯანი მანკა და უეფას ეროვნული ასოციაციების განყოფილების მრჩეველი ჯოზეფ კლიმენტი, რომლებმაც სიტყვით გამოსვლისას ქართული ფეხბურთის პროგრესს, 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატის მნიშვნელობას და ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლეს გაუსვეს ხაზი.



**ლევან კობიაშვილი:**

– დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. დელეგატებს, საზოგადოებას, გულშემატკივრებს, მედიის წარმომადგენლებს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს წლები, როდესაც ერთობლივად, საკმაოდ რთულ პერიოდში ჩავიბარეთ ფეხბურთის ფედერაცია. დღეს კი, განხორციელებული პროექტები იმის საშუალება გვაძლევს, რომ დავინახოთ პროგრესი, რომელიც ამ მიმართულებით გვაქვს.

დარწმუნებული ვარ, მომდევნო 4 წელი არ იქნება მარტივი, იქნება გამოწვევები, თუმცა მე და ჩემი გუნდი მზად ვართ, რომ ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. საზოგადოებამ იცის, თუ რას ვაკეთებდით განვლილი 4 წლის განმავლობაში. ძალიან ბევრი მიმართულებით გვაქვს წინსვლა, განვვითარდით, თუმცა გვაქვს საკითხები, სადაც გვჭირდება ცვლილებები. ეს ვერ იქნება მხოლოდ ერთ ადამიანზე დამოკიდებული, ეს არის საერთო საქმე ქართული ფეხბურთის, რაშიც ვგულისხმობ თითოეულ ადამიანს, მათ შორის, მოთამაშეებს, ხელმძღვანელ პირებს და ეს იქნება ჩვენი მთავარი გამოწვევა.

**დავით მუჯირი:**

– ვულოცავ ბატონ ლევან კობიაშვილს და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს. მინდა წარმატება ვუსურვო მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის სტაბილურობა, რომელიც ბოლო წლებში გვაქვს. სტაბილურად იზრდება ფეხბურთში დასაქმებული ადამიანების რიცხვი, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა და პროექტები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ. მნიშვნელოვანია, რომ ეს წინსვლა და პროგრესი წლიდან წლამდე გაგრძელდეს.

2023 წელი უპრეცედენტოა ჩვენთვის, რადგან 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს ვმასპინძლობთ და ისტორიაში პირველად, საქართველოს ნაკრები არის წარმოდგენილი ფინალურ ეტაპზე. ამიტომ, წარმატება უნდა ვუსურვოთ გუნდს. მნიშვნელოვანია, რომ ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ ტურნირისთვის შენდება, გამოყენებული იქნება ქართული ფეხბურთისთვის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის. ტურნირის ორგანიზებაში ათასამდე ადამიანი იქნება ჩართული, ყველა საერთაშორისო გამოცდილებას მიიღებს და უფრო მეტი გადამზადებული ადამიანი გვეყოლება. მნიშვნელოვანია მედიის ჩართულობა და გულშემატკივართა მხარდაჭერა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უკვე ოფიციალურად წარვადგინეთ ლევან კობიაშვილის კანდიდატურა უეფას აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებზე. დარწმუნებული ვარ, რომ გვაქვს იმის შესაძლებლობა წარმატებულები ვიყოთ და ისტორიაში პირველად ქართველი გახდეს უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.



# საქართველომ გერმანია გაანადგურა

## საქართველო-გერმანია 75:12

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატი გამარჯვებით გახსნა. ბორჯღალოსნები შინ გერმანიას დაუხვდნენ და გამანადგურებელი მარცხი აგემეს – 75:12.

თამაშის დაწყებამდე ლაშა მალაღურაძეს ცენტურიონობა მიულოცეს – ქოქოსამ ეროვნული გუნდის მაისურით მე-100 მატჩი ჩაატარა და მეხუთე ქართველი მორაგბე გახდა დავით კაჭარავას (122), მერაბ კვირიკაშვილის (115), სანდრო თოდუასა (103) და გიორგი ჩხაიძის (100) შემდეგ.

ჩვენებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და უკვე მეოთხე წუთზე აკაკი ტაბუცაძემ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ოთარ ლაშხი მოძებნა და ეროვნული გუნდის დებიუტანტმა პირველი ლელო მიითვალა.

მე-10 წუთისთვის ანგარიში 14:0 იყო. ბორჯღალოსნებმა შეტევა საკუთარი ნახევრიდან დაიწყეს, გერმანელების ხაზი რამდენჯერმე გაიჭრა, ოფლოუდების სერიის შემდეგ კი, ბურთი ტაბუცაძემ მოიხელთა და ლელო დადო.

მალევე ტაბუცაძემ კიდევ ორი ლელო მიითვალა: ჯერ სტუმრებმა ფლანგზე ჩათამაშებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხეს; შემდეგ კი, ტაბუცაძეს ერთი-ერთზე დარჩენილი მოწინააღმდეგის გავლა არ გასჭირვებია.

პირველივე ტაიმში მატკავამ ხაზი გაჭრა და ბურთი კოტე მიქაუტაძემ დაამიწა, ხოლო უკვე გაწითლებულ დროზე კი, ბორჯღალოსნებისთვის ჩვეული ლელოც დაიდო. გერმანელებმა მასპინძელთა მოლს ვერაფერი მოუხერხეს და ბურთი თორნიკე ჯალაღონიამ გადადო. მატკავას დარტყმა არ გასცუდებია და საწყისი ნახევარი 42:0 დასრულდა.

შესვენების შემდეგ პირველი ქულები გერმანელებმაც მიითვალეს. ლელო ბორჯღალოსნების შეცდომებს მოჰყვა: ბურთი ფელიქს ლამერმა დაამიწა. საქართველოს ნაკრების პასუხმა არ დაახანა და საქმეში ისევ ნაქები მოლი ვიხილეთ. თავი გიორგი ცუცქირიძემ გამოიჩინა, მატკავამ ისევ გაიტანა და ანგარიში 49:5 გახდა.

ცუცქირიძემ, საბოლოოდ, ტაბუცაძის მსგავსად ჰეთ თრიკი მიითვალა. თუმცა, მანამდე მიხეილ ალანიას სადებიუტო ლელო იყო და მატკავას მორიგი გარდასახვის შემდეგ საქართველოს ნაკრები 56:5 დაწინაურდა.

გერმანიამ ბორჯღალოსნების კიდევ ერთი მოდუნებით კარგად ისარგებლა და ედოარდო სტელამ თავისივე ლელო გარდასახა.

მატჩი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით გაგრძელდა. ჩინებული გარჯა დაუფასდა ლუკა მატკავას (ის შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს), რომელმაც ხაზი გაჭრა და ლელოს გარდასახვა მიაყოლა;

ბოლოს დადგა ცუცქირიძის დრო: ორჯერვე ბურთი მოლის შემდეგ დაამიწა, მატკავამ ერთი გარდასახა და საბოლოოდ ანგარიში დააფიქსირა – 75:12.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლიდან რაგბი ევროპის ჩემპიონატი ახალი ფორმატით ტარდება. ტურნირში 6-ის ნაცვლად 8 ნაკრები იღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ 4-გუნდიან ჯგუფში არიან გადანაწილებულნი. საქართველოს ნაკრები ა ჯგუფშია, სადაც გერმანიის გარდა, მეტოქეებად ესპანეთი და ნიდერლანდები ეყოლება. ბ ჯგუფში რუმინეთი, პორტუგალია, ბელგია და პოლონეთი მოხვდნენ.

თითოეული ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო ბრძოლას ნახევარფინალში გააგრძელებს, ხოლო მესამე-მეოთხეადგილოსნები მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ნახევარფინალებს ითამაშებენ. ნახევარფინალური მატჩები 4-5 მარტსაა დანიშნული, ფინალი კი, 19 მარტს ესპანეთის ქალაქ ბადახოსში გაიმართება.

ჯგუფები ორი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. ორი წლის ჯამში ბოლო ადგილზე გასული გუნდი ალაფაზე დაქვეითდება.

შეგახსენებთ, რომ ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო 5 გათამაშებაში იმარჯვეს, უკანასკნელი 15 ტურნირიდან კი 13 აქვთ მოგებული. სულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს აღნიშნული შეჯიბრი ჩემპიონის რანგში 14-ჯერ აქვს დასრულებული.

პირველი ტურში რუმინეთმა პოლონეთს 67:27 სძლია, ხოლო პორტუგალიამ ბელგია 54:17 დაამარცხა.

ჩვენს ჯგუფში კი ესპანეთმა ნიდერლანდებს უმასპინძლა და 28:20 დაამარცხა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ჯემალ ღაღანიძე გარდაიცვალა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– ჩვენი ბატონი ჯემალი აღარაა, შეუერთდა მეგობრების უზარმაზარ გუნდს: რამაზს, გურამს, ედიშერს, კარლოს... მათ, ვინც მრავალი წლის მანძილზე ქმნიდა ქართული თეატრის დიდებას.

რუსთაველის თეატრის არაჩვეულებრივი მსახიობი ჯემალ ღაღანიძე 67 წელი ერთგულად ემსახურა თავის ერთადერთ სათაყვანებელ თეატრს და მხოლოდ ერთხელ ითამაშა სხვა თეატრში და ეს თეატრი ჩვენი „თავისუფალი თეატრი" იყო, სადაც მან პოლონიუსის როლი ითამაშა „ჰამლეტში", მან არა მარტო შესანიშნავად ითამაშა ჩვენთან, ის ჩვენი თეატრის თავყრილობების მუდმივი წევრიც გახდა, ესწრებოდა ჩვენს სპექტაკლებს, გულშემატკივრობდა ჩვენს თეატრს. ამიტომაც, რუსთაველის თეატრთან ერთად, ჩვენც ვიძახით: აღარაა ჩვენი ბატონი ჯემალიო. მისი მოსვლა „თავისუფალ თეატრში" და იქ თამაში, იყო მისი უპირობო მხარდაჭერის, მისი მეგობრობის გამოხატულება. ეს არაჩვეულებრივი მსახიობი ყველა რეჟისორისათვის კომფორტული მსახიობი იყო, ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ის რობერტ სტურუას თილისმად ითვლებოდა.

ბატონო ჯემალ, მადლობა, რომ გვერდში ედექით „თავისუფალ თეატრს" დღიდან მისი დაარსებისა, მადლობა თქვენი ნიჭისთვის, თქვენი იუმორისთვის, ასე რომ გვიხალისებდა ცხოვრებას და მუშაობას. თქვენი სახელი სამუდამოდ ემახსოვრება მთელ ქართულ თეატრს, თქვენი მოსწრებული ფრაზები კი თაობებს გადაეცემა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ქალაქი ავსტრიაში; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. განსაკუთრებით ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 7. ესპანური, ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა; 11. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის ძირითადი შემადგენელი ნაწილი; 13. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 15. მომღერალი სახალხო მთქმელი მუსლიმურ ქვეყნებში; 16. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 18. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 19. სპორტული, სასეირნო ნავი.

**თარაზულად:** 6. ნიადაგის რღვევა, ჩამოშლა; 8. საღამოს სადილი; 9. ფიჭიანი თაფლი; 10. პორტუგალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 17. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 20. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კახიაშვილი; 2. სქოლიო; 3. კურორტი; 4. ჩორდი; 5. ხიროსიმა; 6. ვესლი; 7. მენზულა; 9. ჯორჯია; 13. პორტო; 17. რიყე; 18. გოა.

**თარაზულად:** 1. კომპასი; 3. კუბანი; 8. ჰიმენე; 10. ალიგოტე; 11. გაგრა; 12. ფიურსტი; 14. შვეიკი; 15. ხრიდოლი; 16. მარკა; 19. კატარი; 20. დივიზია; 21. ასკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აბზინდა; 2. მურსია; 3. ნობელიუმი; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. აურა; 11. ტროპარი; 13. კაჭკაჭი; 15. ზუთხი; 16. ვალსი; 18. ნიკეა; 19. ლინზა.

**თარაზულად:** 6. ბატატი; 8. ლუქსორი; 9. თითბერი; 10. ნოკაუტი; 12. იანძი; 14. შირაზი; 17. მაჭანკალი; 20. ალაბამა; 21. სხვენი; 22. ეფუზია; 23. ბილტმორი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


6 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6441

ევრო — 2.8913

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2411

100 რუსული რუბლი — 3.7492

## ამინდის პროგნოზი 6 თებერვლისათვის




## ენცო ფერნანდესი: „ჩელსის დიდი პოტენციალი აქვს“



ჩელსის ახალწვეულმა ენცო ფერნანდესმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ჩელსის დიდი პოტენციალი აქვს და გუნდს, უბრალოდ, დალაგებს სჭირდება. ენცოს აზრით, ეს მალე მოხდება: „ჩელსის შეუძლია სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში და ამ გუნდს ამისთვის ყველაფერი აქვს, უბრალოდ, ჩვენ მცირე დრო გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ მალე გულშემატკივარი სხვა ჩელსის იხილავს“.

## იურგენ კლოპი: „გულშემატკივარმა უნდა გაგვიგოს“



ლივერპული ცუდ თამაშს აგრძელებს და ამჯერად კლოპის გუნდმა სტუმრად ვულვერჰემპტონთან წააგო 0:3. მატჩის შემდეგ კლოპმა განაცხადა, რომ გულშემატკივარი ამ ყველაფერს გაგებით უნდა მოეკიდოს, ლივერპულს რთული პერიოდი აქვს: „არ ვიცი, რა ვთქვა, რადგან გუნდი ფორმაში არ არის და ჩვენი ცუდი შედეგის გამართლება არ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ გულშემატკივარი ამ ყველაფერს გაგებით მოეკიდება. ლივერპული თავის სიტყვას კიდევ იტყვის“.

## არტეტა: „ევერტონთან მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ“



არსენალი სტუმრად ევერტონთან დამარცხდა 0:1 და ამ წაგების შემდეგ არსენალის მდევრებმა მასთან ქულათა სხვაობა შეამცირეს. არტეტამ მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისი გუნდი მარცხს არ იმსახურებდა: „სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ არ ვთვლი, რომ მარცხს ვიმსახურებდით, რადგან საკმაოდ კარგი მომენტები შევქმენით მეტოქის კართან. მომავალ მატჩებში უფრო ყურადღებით უნდა ვიყოთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

შვილის მამას ეკითხება:
– მამა, რატომ არ მყავს ძმები?
– იმიტომ, რომ მთელი ღამე არ გძინავს...

•••

კაცი ექიმს შესჩივის:
– ექიმო ღვიძლი მაწუხებს.
– სვამთ?
– ვსვამ, მაგრამ არ მშველის.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ექიმმა ჩემ ცოლს წონაში დასაკლებად ცხენოსნობა ურჩია.
– მერე, როგორი შედეგია?
– 10 კილოგრამი დაიკლო, ცხენმა!

•••

სამსახურში, სადაც უმეტესობა ქალები იყვნენ, ჩხუბი ატყდა, რომელშიც ყველა ქალი ჩაება. მათი შეჩერება უფროსმა ცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, დაიყვირა:
– ილაპარაკოს იმან, რომელიც ყველაზე მახინჯია!
ოფისში სიჩუმემ დაისადგურა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– ეჰ, რა ძნელია ცხოვრება, როდესაც სიცარიელეა...
– სულში?
– არა, მაცივარში...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– შენი აზრით, როგორი ქალები არსებობენ?
– ორის სახის ქალები არსებობს, ერთნი, რომლებიც სექსის დროს ისე იქცევიან, თითქოს სადაცაა დაიხოცებიან, ხოლო მეორეები – თითქოს უკვე დაიხოცნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ირუ ხეჩანოვი „ვოისის“ გამარჯვებულია



საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე დასრულდა მუსიკალური შოუ „ვოისი“, რომელმაც გამარჯვებული გამოავლინა. მაყურებლის რჩეული ირუ ხეჩანოვი გახდა დათო ფორჩხიძის გუნდიდან. ირუ საქართველოს „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

ფინალში 4 მწვრთნელის სოფო ტოროშელიძის, სტეფანე მღებრიშვილის, დათო ფორჩხიძის და დათო ევგენიძის გუნდებიდან 2-2 კონკურსანტი მონაწილეობდა. ფინალისტებს შორის იყვნენ ირუ ხეჩანოვი, გიორგი დათიაშვილი, ლიკა სირაძე, თაკო კაკალაშვილი, თინა დათიკაშვილი, ლიკუნა თუთისანი, ანკა თათარაშვილი და კახა ასლამაზაშვილი. ფინალისტებისთვის ხმის მიცემა 1 კვირის განმავლობაში, ყოველ 12 საათში ერთხელ იყო შესაძლებელი.

## „მგზავრებმა“ მერვე ალბომი გამოუშვა



ჯგუფმა „მგზავრები“ ერთგულ მსმენელს რიგით მე-8 ალბომი წარუდგინა.

„კამარა“ – ასე ეწოდება ალბომს და მასში 10 სიმღერაა გაერთიანებული.

გიგი დედალამაზიშვილისა და მისი მუსიკოსების მიერ ჩაწერილი ალბომი უკვე ინტერნეტშიც განთავსდა და მისი მოსმენა ყველა მუსიკალურ პლატფორმაზეა შესაძლებელი.

„მგზავრების“ ახალ მუსიკალურ კომპოზიციებს ბევრი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსმენელისგან.

## დეა კულუმბეგაშვილი ბერლინის კინოფესტივალის ჟიურიში მიიწვიეს



ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრად მიიწვიეს.

დეა 2023 წლის კინოფესტივალის ერთ-ერთი სექციის ჟიურის წევრია. მან კოლეგებთან ერთად სექციის საუკეთესო ფილმი, რეჟისორი და ჟიურის სპეციალური ჯილდოს მფლობელი უნდა გამოავლინოს.

დეა კულუმბეგაშვილი მსოფლიო კინემატოგრაფის ყურადღების ცენტრში მისი ფილმის „დასაწყისი“ საფესტივალო მოგზაურობის შემდეგ მოექცა. ფილმი აჩვენეს კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალური პროგრამის ფარგლებში. „დასაწყისი“ არაერთ ქვეყანაში ათეულობით პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა. ფილმმა მიიღო „ფიპრესის“ ჯილდო ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, საუკეთესო ფილმის ჯილდო სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო ნამუშევარი „უხილავი სივრცეები“ წარმოდგენილი იყო კანის საერთაშორისო კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში, მისი კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლეთა“ კი კანში სექციაში „რეჟისორთა ორკვირეული“ აჩვენეს.

## ხურდაში აღებულმა ლატარიის ბილეთმა მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა 41 წლის მეთიუ სპოლდინგმა მისი კუთვნილი ხურდის მიღებას ლატარიის ბილეთის აღება ამჯობინა და სოლიდური ფულადი მოგების მფლობელი გახდა.

სპოლდინგმა ავტოგასამართ სადგურის მაღაზიაში საჭირო ნივთები შეიძინა და ხურდაში ხუთი დოლარი ერგებოდა, თუმცა მან ფულის მიღებას მომენტალური ლატარიის ბილეთის აღება ამჯობინა.

მაღაზიიდან გამომავალმა სპოლდინგმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და მიხვდა, რომ სოლიდური მოგების მფლობელი გახდა. მისმა მოგებამ 107 ათასი დოლარი შეადგინა.

– რამდენიმე მყიდველი შევაშინე, რადგან სიხარულისგან ყვირილი დავიწყე. ეს ისეთი დიდებული შეგრძნება იყო, – იხსენებს ამერიკელი.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მოგებულ თანხას სამომავლოდ გადადებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ჯემალ ღაღანიძე გარდაიცვალა



89 წლის ასაკში თეატრისა და კინოს მსახიობი ჯემალ ღაღანიძე გარდაიცვალა. იგი იყო უკანასკნელი ჯამბაზი რეჟისორ გოჩა კაპანაძის გახმაურებული სპექტაკლიდან „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც მაყურებელს გამორჩეულად უყვარდა.

როგორც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ განაცხადა, მსახიობს 90 წელი 21 აპრილს უსრულდებოდა და საიუბილეო თარიღისთვისაც განსაკუთრებულად ემზადებოდა, მაგრამ არ დასცალდა.

ჯემალ ღაღანიძემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა. თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, რუსთაველის თეატრში ჩაირიცხა და 100-ზე მეტი როლი შეასრულა. ის იყო მსახიობი, რომელსაც დუბლიორი არასდროს ჰყოლია. მან 600-ჯერ ითამაშა რობერტ სტურუას ლეგენდარული სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“ ისე, რომ არც ერთხელ არ დასჭირვებია შემცვლელი.

მსახიობის თეატრალური თუ კინოროლები მაყურებელს გამორჩეულად უყვარს. იგი ასევე მონაწილეობდა სერიალებში „ცხელი ძაღლი“ და „ყავა და ლუდი“.

მადლიერმა მაყურებელმა მას მშობლიური რუსთაველის თეატრის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა. მისი ნიჭი და დამსახურება არაერთი ჯილდოთი და პრემიით აღინიშნა. იგი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიიღო იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრიზი „იპო“. ჯემალ ღაღანიძე იყო იმ რამდენიმე მსახიობს შორის, რომელთაც განსაკუთრებული სახასიათო როლების შექმნისთვის იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემია გადაეცათ.

– 60 წელზე მეტი რუსთაველის თეატრს უერთგულა, უერთგულა ქართულ თეატრსა და კინოს. ეს 60 წელი მისთვის იყო შთაგონების, წარმატების, ტკივილის, ძიების წლები. იგი რუსთაველის ეროვნული თეატრის ტრიუმფის მომსწრე და მონაწილე გახლდათ. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სცენური პლასტიკითა და მუსიკალურობით. ბატონი ჯემალის ბევრ როლს სცენური არსებობის ხანგრძლივი ბედი ხვდა წილად, „კავკასიური ცარცის წრე“ 600-ზე მეტჯერ ითამაშეს. ყოველი მისი, თუნდაც ეპიზოდური თუ მეორეხარისხოვანი როლი მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი სახასიათო როლების საუკეთესო შემსრულებელი გახლდათ. თავისი პერსონაჟის სახის გამოსაძერწად მსახიობი ზომიერად, ძუნწად, გემოვნებით იყენებდა ჟესტს, მიმიკას, პლასტიკას, გრიმს. ჯემალ ღაღანიძე ხელმარჯვე ოსტატიც გახლდათ, ზოგჯერ ამ ოსტატობის გამო კურიოზულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდნილა.

წიგნი „ესა ვარ, რაცა ვარ...“ თავის საყვარელ რუსთაველის თეატრს, თავის ერთგულ მაყურებელს მიუძღვნა. თავად ჯემალ ღაღანიძე დიდი ადამიანი და დიდი მსახიობი იყო. თავს ბედნიერად თვლიდა, რომ სპექტაკლში „უფლისწული და მათხოვარი“ პარტნიორობას შვილიშვილი სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე უწევდა. „თაობა მიდის... თაობა მოდის“. მადლიერებითა და დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით ბატონ ჯემალს, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



6 თებერვლისათვის

**ვერძი** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **მორიელი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ფარმაცევტთა ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. აჭარული ცეკვა; 3. მუსლიმთა რელიგიური სამართალი; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. აეროპორტი სინგაპურში; 7. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 9. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 13. მდინარე გურიაში; 17. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში; 18. ქუთაისის რაგბისტთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 8. ბადრიჯნის, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 10. ეკიპაჟის საცხოვრებო სათავსო გემზე; 11. ყვითელი ფერის გამჭვირვალე მტკიცე, ფისოვანი მინერალი; 12. კუთხე საქართველოში; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ქალაქი იმერეთში; 16. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ საფრანგეთში; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. მდინარე რიგაში; 21. ველური ვარდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*